

ჯონი ბიჭიაშვილი  
იოსებ კირცხალია  
გიორგი ბიჭიაშვილი  
ჯურაბ ბიჭიაშვილი

# ემენე, სტრანსპორტო და უწყვეტი ტრანსპორტის მანქანები — გაანგარიშების მაგალითები

(ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის,  
პროფესორ ჯონი ბიჭიაშვილის საერთო რედაქციით)

ნაშრომში განხილულია ამწე (სამშენებლო კომპურა ამწეები), საგრანსპორტო (თვითსაყლელი ავტომობილი, ტრაქტორები და სატრაქტორო მაგარებლები) და უწყვეტი ტრანსპორტის (ჩამჩიანი ელევატორები, სრასნული კონვეიერი, პნეემატიკური მოწყობილობები, თვითდინების პრინციპით მომუშაეე დანაღვარები) მანქანების პარამეტრების გაანგარიშების საკითხები და სხვ.

წიგნი განკუთვნილია სამშენებლო სპეციალობების სტუდენტთათვის.

წიგნით შეიძლება ისარგებლონ სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმაც.

#### **რეცენზენტები:**

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ი. ქართველიშვილი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ო. კაციტაძე

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

„ამწე, სატრანსპორტო და უწყვეტი ტრანსპორტის მანქანები — გაანგარიშების მაგალითები“ შედგენილია უმაღლესი სასწავლებლების სამშენებლო საეკიპალობის სტუდენტებისათვის, რომლებიც შეისწავლიან „სამშენებლო მანქანებისა და სამშენებლო პროცესების ავტომატიზაციის“ კურსს.

მასალის პრაქტიკული ათვისების გაიოლების მიზნით წინამდებარე ნაშრომის ყველა სამუშაოს ერთვის მეთოდური მითითებები სამუშაოს შესასრულებლად და თითოეული სამუშაოს თემაზე ამოხსნილია კონკრეტული მაგალითი. სამუშაოს შესასრულებლად საჭირო საცნობარო მასალა წიგნს თან ერთვის.

წიგნში მოყვანილი გაანგარიშების მაგალითები საშუალებას იძლევა შეირჩეს სათანადო სამშენებლო მანქანის მოწყობილობა, განისაზღვროს მისი ძირითადი პარამეტრები და სხვ. მუშაობის რეალური პირობებისათვის. ანგარიშისათვის საჭირო მონაცემები (მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკური მახასიათებლები, ძრავების პარამეტრები და სხვ.) მოყვანილია ცხრილებში, რომლებიც მოთავსებულია თითოეულ სამუშაოში.

სამუშაოები შედგენილია ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში (ГОСТ. 9867-61), რომელიც აღინიშნება ლათინური ასოებით SI, ხოლო რუსული ასოებით СИ.

I დანართში მოყვანილია СИ ერთეულები, რომლებიც გვხვდება პრაქტიკული ანგარიშების შესრულების დროს.

II დანართში მოცემულია ჯერადი და ნაწილობრივი ერთეულები (ГОСТ. 7663-69).

III დანართი განკუთვნილია ტექნიკური სისტემების (МКГСС) ერთეულთა გადასაყვანად СИ ერთეულთა სისტემაში.

IV დანართში მოცემულია სიდიდეთა პირობითი აღნიშვნები СЭВ 1565-79 სტანდარტის შესაბამისად, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს მკითხველმა იმ ლიტერატურის გამოყენებისას, რომელშიც აღნიშნული სტანდარტის აღნიშვნებია.

V დანართში მოყვანილია ნატურალური გრიგონომეტრიული ფუნქციები. იმისათვის, რომ სტუდენტმა სრულყოს თავისი ცოდნა სამშენებლო მანქანებში, წიგნს ბოლოში დართული აქვს შესაბამისი ლიტერატურის სია.

ავტორები მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ მარიამ ბიჭიაშვილის ნაყოფიერ შრომას წიგნის გრაფიკული ნაწილის ესკიზებთან ილენგურობის შემოწმებასთან დაკავშირებით.

## სამშენებლო კოშკურა ამავეები

სამშენებლო კოშკურა ამწეები გათვალისწინებულია საგრანსპორტო სამუშაოთა მექანიზაციისათვის მრავალსართულიანი საცხოვრებელი, სამოქალაქო და სამრეწველო შენობების მშენებლობის დროს. ისინი გამოიყენება აგრეთვე საწყობებში დაგვირთვა-განგვირთვის ოპერაციების განსახორციელებლად, ნულოვანი ციკლის სამუშაოთა შესასრულებლად და სხვ. ГИСТ 13809-68 თანახმად კოშკურა ამწეების კლასიფიკაცია წარმოებს სამშენებლო მოედანზე მისი დაყენების წესის, სავეალი მოწყობილობის, კოშკისა და ისრის გიჟის მიხედვით.

სამშენებლო მოედანზე კოშკურა ამწის დაყენების წესის მიხედვით არჩევენ გადასაადგილებელ, სტაციონარულ და თვითამწვე ამწეებს.


გადასაადგილებელი ეწოდება ამწეს (ნახ. 1.1, ა), რომელსაც აქვს სავეალი მოწყობილობა და რომელსაც შეუძლია გადაადგილდეს სამშენებლო მოედანზე სამუშაო მდგომარეობაში.

სტაციონარული ეწოდება ამწეს (ნახ. 1.1, ბ), რომელიც იდგმება საძირკველზე და სამშენებლო მოედანს ემსახურება ერთი სადგომიდან. მაღალი შენობების აგების დროს ასეთი ამწე დამატებით ემაგრება ასამშენებელ ნაგებობას და იწოდება მისადგამ ამწედ.


თვითამწვეი სამონტაჟო მანქანები (ნახ. 1.1, გ) მონტაჟდება ასაგები ნაგებობის კონსტრუქციაზე. მათი ვერტიკალურად გადაადგილება ხდება შენობის აგებასთან ერთად საკუთარი მექანიზმების დახმარებით.

სავეალი მოწყობილობის გიჟის მიხედვით კოშკურა ამწეები იყოფა სარელსო (ნახ. 1.2, ა), საავტომობილო (ნახ. 1.2, ბ), პნევმოთულებიან (ნახ. 1.2, გ), მუსულუხა (ნახ. 1.2, დ) და მაბიჯ ამწეებად (ნახ. 1.2, ე).

მაბიჯი ამწის გადაადგილება წარმოებს შემდეგი თანამიმდევრობით. ეყრდნობა რა ამწე ცილინდრულ ბუნიკს — 1, ამწე აიწევა გრუნტის ზედაპირიდან სავეალი ჩარჩოსთან — 2 ერთად. შემდეგ ხდება სავეალი ჩარჩოს გამოწევა წინ, მისი დამ-



ნახ. 1.1 ამწის გიჟები დაყენების წესის მიხედვით: ა — გადასაადგილებელი; ბ — სტაციონარული (მისადგამი); გ — თვითამწვეი.



ნახ. 1.2 ამწის ტიპები სახელი მოწყობილობის სახის მიხედვით: ა — სარელსო;

ბ — სააეცომობილო; გ — მწვემოთელიანი; დ — მუხლუხა; ე — მაბიჯი. 1 — ბუნიკი; 2 — სახელი ჩარჩო; 3 — სახელი თეალი; t — ამწის გადაადგილების ბიჯი.

ვება გრუნტზე და ბუნიკის აწევა. სახელი თელების — 3 დახმარებით ამწე გადაადგილება ჩარჩოს გასწვრივ წინ ბიჯის — t სიდიდზე (ნახ. 1.2, ე) და ა. შ.

გამოყენებული კომპიკის ტიპის მიხედვით ამწეები გვხვდება საბრუნე და არასაბრუნე კომპიკებით.

საბრუნე კომპიკიან ამწეებში (ნახ. 1.3, ა) საყრდენ-საბრუნე მოწყობილობა განლაგებულია სახელ ნაწილზე ან პორტალზე. მობრუნების დროს ბრუნავს მთელი ამწე, სახელი ნაწილის გარდა.


არასაბრუნე კომპიკიან ამწეებში (ნახ. 1.3, ბ) საყრდენ-საბრუნე მოწყობილობა განლაგებულია კომპიკის თაეზე. ბრუნვის დროს ბრუნავს მხოლოდ ისარი, სათაეისი და საპირწონე კონსოლი მასზე განლაგებული მექანიზმებითა და საპირწონე ტეირით.


საბრუნე კომპიკიან ამწეებს ხშირად უწოდებენ მობილურ ამწეებს (დამონტაჟებისა და ტრანსპორტირების სიმარტივის გამო. ტრანსპორტირება ხდება ცალკეულ კვანძებად დაშლის გარეშე). არასაბრუნე კომპიკიანი ამწეები მიეკუთვნება არამობილურ ამწეებს.

გვხვდება აგრეთვე ამწე-სატეირთეელი, როდესაც ამწეს კომპიკი არა აქვს. ასეთი ამწეს ისარი დამატებულია უშუალოდ საბრუნე პლატფორმაზე (ნახ. 1.4).

ისრის ტიპის მიხედვით ამწეები იყოფა ასაწეე ისრიან (ნახ. 1.5, ა) და კოჭოვან ისრიან (ნახ. 1.5, ბ) ამწეებად. პირველი ტიპის ამწეებში ისრის შუერის შუე-

ნახ. 1.3 ამწის ტიპები კომპიკების კონსტრუქციების მიხედვით: ა — საბრუნე კომპიკით; ბ — საბრუნე სათაეისით; 1 — კომპიკი; 2 — საყრდენ-საბრუნე მოწყობილობა; 3 — საპირწონე ტეირით; 4 — განმბჯენი; 5 — ისარი; 6 — სათაეისი; 7 — საპირწონე კონსოლი.






ნახ. 1.4 ამწე-საგვირთველის სქემა.

ელა ხდება ისრის მობრუნებით საყრდენი სახსრის მიმართ (ეერგაკალურ სიბრტყეში). შეერის შეცვლა შეიძლება განხორციელდეს კაკეზე გვირით (სამანვერო ამწე) ან უცვირით (საყენებელი ამწე).

კოჭოვანი ისრის შემთხვევაში გვირით დაკიდებულია საგვირითო ურიკამე, რომელიც შეერის შეცვლისას გადაადგილდება ისრის მიმმართველ კოჭებზე.

კომკურა ამწეების ძირითადი მოდელების პარამეტრები რეგლამენტირებულია Гост 13555-68 და 14274-69 მოთხოვნებით, რომლებშიც მთავარი განმსაზღვრელი პარამეტრია საგვირითო მომენტი. აღნიშნული სახელმწიფო სტანდარტების თანახმად დამუშავებულია და ათვისებულია КБ სერიის ამწეები. ფართოდ გაერელებულია КБ-100 და КБ-160 მარკის ბამური მოდელები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამწეებს: КБ-100.1; С-981А; КБК-100.1; С-981Б; КБ-100.2; С-981; КИ-100 (საგვირთველი ამწე); КС-100 (ამწე ისროვანი შესრულებით). ჩამოთვლილი მოდიფიკაციები განსხვავდება ისრის კონსტრუქციით (КБК-100.1, С-981Б), ისრის სიგრძით (КБ-100.2 და С-981) და სხვ. მრეწველობა უშვებს აგრეთვე სპეციალურ ამწეებს, რომელთა დახასიათება მოცემულია ლიტერატურაში [3,7].

კომკურა ამწეების აღნიშვნა მრავალგვარია. ზოგიერთ აღნიშვნაში გათვალისწინებულია ბამური მოდელის საგვირითო მომენტი. მაგალითად, ამწე КБ-160.4 აღნიშნავს კომკურ ამწეს ბამური მოდელის საგვირითო მომენტით 160 ტკმ. (1600 კნმ), მაშინ როდესაც ამწის საგვირითო მომენტი შეადგენს 50 ტკმ. (500 კნმ). ასეთი გართულებული აღნიშვნების ნაცვლად, 1971 წლიდან შემოღებულია მანქანების ინდექსაციის ახალი სისტემა, რომლის მიხედვით მანქანა აღინიშნება სამი ციფრით.



ნახ. 1.5 ამწის ტიპები ისრის კონსტრუქციის მიხედვით: ა — ასაწევი ისრით; ბ — კოჭოვანი ისრით; 1 — საკიდი ისარი; 2 — საკიდი ისარი ნაღვლით; 3 — საკიდი ისარი ღვარებით; 4 — უროსებრი ისარი.

ორი უკანასკნელი ციფრი რეგისტრაციის ნომერია, ხოლო პირველი — გიკ-ზომის ჯგუფის რეგისტრაციის ნომრების რივი 00-დან 69-მდე შეესაბამება ამწეებს საბრუნე კომკით, ხოლო 70-დან 99-მდე — არასაბრუნე კომკით. დამატებით შეიძლება ნაჩვენები იყოს შესრულების ნომერიც. მაგალითად, მარკა КБ-674.5 აღნიშნავს, რომ ამწე ეკუთვნის მე-6 გიკ-ზომას, შესრულებულია არასაბრუნე კომკით და მე-5 შესრულებბა რეგისტრაციით.

ჩრდილოეთის კლიმატური პირობებისათვის განკუთვნილ ამწეებს ემატებათ С ან ХИ ასო (ცივი კლიმატი) და ა. შ.

კომკურა ამწეების ინდექსაციის სისტემა იხილე [18], გვ. 114.

ამწის აღნიშვნა MCK-10-20 ნიშნავს: მობილური დასაკეცი ამწე, გვირთამწეობით 10 ტ., ისრის შეერთით 20 მ. აღნიშვნა MCK-250 შეესაბამება მობილურ დასაკეცი ამწეს საგვირთო მომენტი 250 ტმ (2500 კნმ). ანალოგიურად, ამწე BK-1000 ნიშნავს კომპურა ამწეს საგვირთო მომენტი 1000 ტმ. (10000 კნმ). ცნობილია სხვა აღნიშვნებიც. მაგალითად, KBC-450; იგი შეესაბამება განსაზღვრებას — კომპურა ამწე ჰიდროტექნიკური მშენებლობისათვის საგვირთო მომენტი 450 ტმ. (4500 კნმ). აღნიშვნა BKCM — 1411M — თვითმონტაჟებადი კომპურა ამწე 14 სართულზე (ბაზური მოდელისათვის) — დამტვირთავი, მოდერნიზებული. ამწე ABKC-5 განისაზღვრება შემდეგნაირად — საავტომობილო კომპურა ამწე სასოფლო მშენებლობისათვის 5 ტ. გვირთამწეობით.

BK სერიის ყველა ამწეს აქვს ცელადი ღენის ელექტრული მრავალძრავიანი ამძრავი, რომელიც იკვებება ცელადი ღენის სამფაზა ქსელიდან ძაბვით 220/380 ვ. KB-104 ამწეში ამძრავი შეიძლება ამოქმედდეს ავტომანქანის ძრავიდან და აგრეთვე გარე ქსელიდან. ამწე KB-250 მუშაობს მუდმივ ღენზე (სიჩქარეების რეგულირების დიაპაზონის გაფართოებისათვის); კვება ხორციელდება Γ-D სისტემით. ამწე KB-674 კი — გირისგორული ამძრავით.

#### საშუალო № 1

შეარჩიეთ კომპურა ამწე და განსაზღვრეთ მისი ცელური საექსპლუატაციო მწარმოებლობა კონკრეტულ პირობებში, შეთავსებული და შეუთავსებელი ციკლებით მუშაობის დროს. იგულისხმება, რომ ამწით მონტაჟდება შენობის ასაწყობი კონსტრუქციული ელემენტები და ერთი ციკლის განმავლობაში აიწევა და საპროექტო მდგომარეობაში დამონტაჟდება ერთი ელემენტი.

#### მეთოდური მითითებები

ესაზღვრავთ სამონტაჟო მანქანის ძირითად საექსპლუატაციო პარამეტრებს: კაკის (ან გვირთის) აწევის სიმაღლეს, ისრის შეერსა და ამწის გვირთამწეობას. აღნიშნული პარამეტრების საჭირო სიღიღეები დამოკიდებულია დასამონტაჟებელი შენობის ან ნაგებობის გაბარიტულ ზომებსა და კონფიგურაციაზე, სამონტაჟო ელემენტების გაბარიტულ ზომებსა და მასაზე, მათ განლაგებაზე ნაგებობაში (ნახ. 1.6).


$$H = h_0 + h_1 + h_2 + h_3,$$

სადაც  $h_0$  არის მანძილი ამწის ღვომის ღონიდან დასამონტაჟებელი კონსტრუქციის საყრდენამდე;

$h_1$  — სიმაღლე საყრდენიდან სამონტაჟო ელემენტამდე (განისაზღვრება დამონტაჟებულ კონსტრუქციებზე დასამონტაჟებელი ელემენტის გადატარების უსაფრთხოების პირობით ან მონტაჟის სხვა პირობებით. მიიღება 0,5-2 მეტრის ფარგლებში);

$h_2$  — სამონტაჟო ელემენტის სიმაღლე ქვედა სიბრტყიდან ჩაბმის წერტილამდე ან ზედა სიბრტყემდე;

$h_3$  — საბელის (ჯამბარის) ჩაბმის სიმაღლე.



ნახ. 1.6 ამწის სამუშაო ზონის სქემა: ა — გეგმა; ბ — პროფილი.

მსხვილბლოკური ან პანელური შენობის შემთხვევაში ამწის ისრის მაქსიმალური შეერი განისაზღვრება ფორმულით [7]:

$$a_{\max} = k + b - (b_0 + \frac{\delta}{2}),$$

სადაც  $k$  არის მანძილი ამწისაველი გზის ღერძიდან შენობის გარე კედლის ამ ღერძისადმი უახლოესი ნაწილის ზედაპირამდე; იგი გამოითვლება გამოსახულებით  $k > r_{\text{გზობრ}} + 1$  მ; აქ  $r_{\text{გზობრ}}$  ამწის საბრუნე ნაწილის რადიუსია, მ-ობით. ჩვეულებრივ,  $k=4-5$  მ;

$b$  — შენობის გაბარიტული სიგანე;

$b_0=0,3 \div 0,5$  მ (აიღება შენობის პროექტიდან);

$\delta$  — გარე კედლის სამონტაჟო ელემენტის სისქე.

მანძილი ამწისაველი გზის რელსის შიდა წიბოდან შენობის კელამდე მიიღება ტოლი:

$$d = 0,75 \div 1,5 \text{ მ.}$$

ესაღია დაცული უნდა იყოს პირობა:

$$k \geq \frac{c}{2} + d \text{ მ.}$$

კაკეის აწევის გამოთვლილი სიმაღლისა და ისრის საჭირო შეერის გათვალისწინებით 1.1 ცხრილიდან ვირჩევთ შესაბამისი გეირთამწეობის ამწეს.

გეირთამწეობის მიხედვით ამწის გამოყენების კოეფიციენტი\*

$$K_{\text{გმ}} = \frac{G}{Q},$$

\* აღნიშნული კოეფიციენტი ახასიათებს ამწის დაგეირთვის ხარისხს მოცემული კონსტრუქციული ელემენტის აწევის დროს ამწის მუშაობის კონკრეტულ პირობებში. სხვადასხვა გეირთის აწევის შემთხვევაში მიიღება  $K_{\text{გმ}}$  საშუალო მნიშვნელობა ერთ ცელაში მუშაობის პერიოდისათვის [7].



კმ სერვის კომპერა ამუცების ტექნიკური დასასაბუბა

პარამეტრი	კმ-104	კმ-271	კმ-100	კმ-100 0M	კმ-100.1	კმ-100.2	კმ-100.3	კმ-100	კმ-981 (კმ-306)	კმ-981B	კმ-981A
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
სატიოთო მობეჩი, ტ.მ.	25	100	100	100	100	100	100	100,120	100	80	100
შევი, მ. უღღესი მექსიმალური ტვირთაშევიბის დროს	12,5	20	20	20	20	20	25;20	20	25	25	25
უქვირესი	5	10	20	20	20	20	12,5	20;12	12,5	10	12,5
ტვირთაშევიბის დროს	3,5	10	10	10	10	10	12,5	10	12,5	4,8	12,5
ტვირთაშევიბის ტვირთაშევიბის დროს	2	5	5	5	5	5	4	5	4	3,2	4
მექსიმალური	5	10	5	5	5	5	5;8	5;10	5;8	8	5;8
კაპიტის აწვიბის სიმბაღე მ: უღღესი შევირის დროს	10	8	21	30	21	31	33	11	35,5	27,6	40,6
უქვირესი შევირის დროს	15	20	33	42	33	44	48	23	48	40	53
სოქვირესი მწვი: აწვიბის	20	10	26	20	20	20	28;14	20;10	20;10	20;10	26;13
ტვირთის სავრღენზე დაღვიბის	5	2,5	5	5	5	5	5;2,5	5;2,5	5;2,5	5;2,5	5;2,5
ამწის გაღადღვიბის	—	31	31	31	31	31	31	31	31	31	18
ურიკის გაღადღვიბის	15	—	—	—	—	—	—	—	—	15	—
მობრუნების სიბმარე, ბრწვი	0,9	0,6	0,7	0,7	0,7	0,7	0,7	0,7	0,6	0,6	0,6
შევირის მექვიბის ხანგრღვიბის, წვი	—	0,8	0,7	0,57	0,67	0,67	0,8	0,67	0,8	—	0,8

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
გზის მოხვევის მინიმალური რადიუსი, მ	5,15	7	7	7	7	7	7	—	—	8,5	8,5
ლანდი და ბაზა, მ	5,4	4,5	4,5	4,5	4,5	4,5	4,5	6	4,5	4,5	4,5
უკანა ვაბაროვ, მ	2,8	3,5	3,5	3,5	3,5	3,5	3,6	3,5	3,6	3,6	3,6
მომუშავე შექანობების დამყარებელი სიმბლანტი, კმ/მ	27,7	34	40	34	34	34	41,5	34	35,5	39	49,5
მასა, ტ კომპლექსიული	13,95	23,3	30	28	27,0	29,5	32,5	26	32,6	35	35
საპირწონის	0,95	29,3	24,4	30	27,2	29,0	28	18	32,2	34	28
ბალასტის	—	—	—	10	—	5,0	12,2	—	11,8	11,8	24,4
საერთო	14,9	52,6	54,4	68	54,2	63,5	72,7	44	76,6	80,8	87,4
კომუკის ტიპი	Π	—	Π	Π	Π	Π	Π	—	Π	Π	Π
ისრის ტიპი	δ	π	π	π	π	π	π	π	π	δ	π

შენიშვნა. Π — საბრუნო, δ — კოჭოვანი, π — ასაწევი

კომუკურა ამწის მუშაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მასზე ელექტრული ბოლო გამოერთეული მოწყობილობებია დაყენებული: ამწის რელსებზე გადაადგილების ორი შემდეგული; ცირთაშეკობის შემდეგული; ცირთის აწევის სიმაღლის შემდეგული; ისრის აწევის სიმაღლის შემდეგული; კომუკის მობრუნების ორი შემდეგული; სატვირთო ურიკას კოჭოვან ისარზე გადაადგილების ორი შემდეგული; კომუკის ამოწევის შემდეგული.

პარამეტრი	KB-160.2 (KB-401)	KB-160.4 (KB-402)	KB <sub>K</sub> -160.2	KB-404	KB-405	KB <sub>K</sub> -250	KB-503	BK-180	KB-573	KB-572	KB-674	KB-674.5
13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25
საერთო მოცუფა, ტ.მ.	125	50	112,5	185;250	135	240	280	200	160	300	400	200
შეერთ. მ: უღლესი მაქსიმალური ტვირთამწეობის დროს	25	25	25	37,30	30	40;24	35	30	40	30;35	35	50
	15	13	16,5	25	15	24	28	20	20;16	30;25	27;16	20
უწყობის	13	13	5,5	16;12	11	8,5	7,5	2,5	2,5	3	4	4
ტვირთამწეობა, ტ: უღლესი შეერთის დროს	5	2	4,5	5,8	4,5	5,8	7,5	6	4	10;6,3	10	4
მაქსიმალური	8	3	8	7;10	8	10;8	10	10	8;10	10	12,5;25	12,5
აწევის სიმაღლე, მ: უღლესი შეერთის დროს	46,1	59,5	41	8,2;6,6	54	53;68	53;67,5	110	150	13,5	46	71
უწყობის შეერთის დროს	60,6	66,5	57,5	32,2;26,2	70	77	53	110	150	13,5	46	71
სიმაღლე, მწივ: აწევის	22,5	45	22,5	20	22,5	26-70	20-80	22,5;45	22,5;45	20;40	13;26;52	26;52
ტვირთის საყრდენზე დაღების	5	10	5	5	5	3-5	3	2,5;5	2,5;5	5	1,4;2,8	2,8
ამწის გადაადგილების ურთიკას გადაადგილების	18	18	20	18	20	12	12	—	—	30	12	12
	—	—	15	—	—	15,4	9;27,5	25	25	25	13;30	13;30

13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25
მობრუნების სისწორე, ბრ/წთ	0,6	0,6	0,6	0,45	0,6	0,47	0,6	0,67	0,67	0,6	0,44	0,44
შეკრის შეცვლის ხანგრძლივობა, წთ	1,2	1,2	—	—	1,5	—	—	—	—	—	—	—
გზის მოხვევის მინიმალური რადიუსი, მ	7	7	7	7	7	7	7	—	—	—	—	—
ლოანლი, მ	6	6	6	6	6	7,5	7,5	—	—	6	7,5	7,5
ბაზა, მ	6	6	6	6	6	8	8	—	—	6	7,5	7,5
უკანა გაბარიტი, მ	3,8	3,8	3,8	3,8	3,8	5,5	5,5	—	—	—	—	—
მომუშავე შეკნიმშების დამყარებული სიმაღლე, კმ/ბ	58	58	61,5	58	58	65,3	65,3	75,5	75,5	94,06	102,7	102,7
მასა, ტ კონსტრუქციული	48	49,5	50,5	40,2	51,2	92	90	82,5	113,7	56	117	130,2
საპირწონის	30	30	30	48,4	56	40	55	3,3	6,6	11	13,5	13,5
ბალასტის	—	—	—	—	—	—	—	—	—	55	82,4	92,7
საერთო	78	79,5	80,5	88,6	107,2	132	145	85,8	120,3	122	212,9	236,4
კომუის ტიპი	Π	Π	Π	—	Π	Π	Π	H	H	H	H	H
ისრის ტიპი	n	n	δ	n	n	δ	δ	δ	δ	δ	δ	δ

შენიშვნა. Π — საბრუნე, H — არასაბრუნე, δ — კოჭკოვანი, n — ასაწვევი

სადაც  $G$  არის დასამონტაჟებელი ელემენტის წონა, გძ;

$Q$  — ამწის გეირთამწეობა ისრის განსაზღვრული შეერის ღროს, გ.ძ.

1.6 ნახაზის საფუძველზე ვხაზავთ მასშტაბში ამწის სამუშაო ზონას ამწის შერჩეული შეერისა  $a_{max}$  და საკონტროლო სამუშაოს ვარიანტის რიცხვითი მონაცემების გათვალისწინებით.

ვსაზღვრავთ ამწის სამუშაო ციკლის ხანგრძლივობას

$$t_{\text{ციკ}} = \sum_{i=1}^{11} t_i,$$

სადაც  $t_1$  არის დასამონტაჟებელი ელემენტის დაჯამბარების ოპერაციის ხანგრძლივობა, წმ;

$t_2$  — დასამონტაჟებელი ელემენტის საჭირო ღონემღე აწევის ხან-

გრძლივობა  $t_2 = \frac{h_0 + h_1}{v_{\text{აწევ}}} \sqrt{\nu}$ .  $v_{\text{აწევ}}$  — გეირთის აწევის სიჩქარეა, მ/წ (ცხრილი 1.1).

$t_3$  — ამწის ისრის მობრუნების ხანგრძლივობა  $t_3 = 60 \frac{\alpha}{2\pi \cdot n} \sqrt{\nu}$ .

აქ  $\alpha^* = \alpha_1 + \alpha_2 = \arcsin \frac{k + \frac{f}{2}}{a} + \arcsin \frac{k + \frac{b}{2}}{a}$  — ამწის მობრუნების სა-

ანგარიშო კუთხეა, რად;

$a$  — ისრის საანგარიშო შეერის სილიღე, მ-ში (ნახაზი 1.6);

$n$  — ისრის მობრუნების სიჩქარე, ბრ/წთ (ცხრილი 1.1).

$t_4$  — სარელსო გზაზე ამწის გადაადგილების ხანგრძლივობა

$$t_4 = \frac{L_{\text{გაღ}}}{v_{\text{გაღ}}} \sqrt{\nu},$$

აქ  $L_{\text{გაღ}}^{**} = a \cos \alpha_1 + \frac{l_2}{2} - l + \frac{l_1}{2} - a \cdot \cos \alpha_2$  არის ამწის გადაადგილების გზა კონსტრუქციული ელემენტების სასაწყობო მონიდან ასაგები შენობის მონამღე, მ (ნახ. 1.6);

$v_{\text{გაღ}}$  — ამწის გადაადგილების სიჩქარე, მ/წ (ცხრილი 1.1).

$t_5$  — გეირთის სამონტაჟო ღონემღე დაშვების ხანგრძლივობა

$$t_5 = \frac{h_1}{v_{\text{ღად}}} \sqrt{\nu},$$

აქ  $v_{\text{ღად}}$  — გეირთის საყრდენზე დაღების სიჩქარეა, მ/წ (ცხრ. 1.1).

\* ამწის მობრუნების საანგარიშო კუთხის სილიღე შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე გრაფიკულად  $\alpha = \frac{\alpha_{\text{გრად}} \cdot \pi}{180^\circ}$ , რად.

\*\* ამწის გადაადგილების გზის სილიღე შეიძლება განისაზღვროს გრაფიკულად.

16 — დასამონტაჟებელი ელემენტის დაყოვნების ხანგრძლივობა ელემენტის საპროექტო მდგომარეობაში დაყენების, შემოწმების, დამაგრების, დადუღებისა და სხვა ოპერაციების შესრულების დროს, წ.

17 — დასამონტაჟებელი ელემენტის განჯაბარების დრო, წ;

18 — კაკვის გვირისაგაც მოწყობილობებთან ერთად მონტაჟის დონის ზევით აწევის ხანგრძლივობა

$$t_8 = \frac{h_1}{v_{აწეე}} \text{ წ};$$

19=13 — ისრის უკან შემობრუნების ხანგრძლივობა, წ;

110=14 — ამწის საწყის მდგომარეობაში უკან დაბრუნების ხანგრძლივობა, წ;

111 — კაკვის გვირისაგაც მოწყობილობებთან ერთად საწყის მდგომარეობაში დაშვების ხანგრძლივობა

$$t_{11} = \frac{h_{0} + h_1}{v_{ლაშ}} ,$$

სადაც  $v_{ლაშ}$  არის გვირის დაშვების სიჩქარე. თუ ამწის ტექნიკური მახასიათებლების ცხრილში გვირის დაშვების სიჩქარე მოცემული არ არის, მაშინ იგი მიიღება გვირის აწევის სიჩქარის გოლად, ე. ი.  $v_{ლაშ} = v_{აწეე}$ .

ამწის მწარმოებლურობის გამრღის მიზნით ზოგიერთი ოპერაცია შეიძლება შეთავსდეს (მაგალითად, გვირის აწევა და ამწის გადაადგილება, ამწის საწყის მდგომარეობაში უკან დაბრუნება და კაკვის დაშვება და სხვ). ამ შემთხვევაში ამწის სამუშაო ციკლის ხანგრძლივობის გამოთვლისას უნდა გაითვალისწინოთ შეთავსებული ოპერაციებიდან უფრო ხანგრძლივის სიდიდე, ე. ი.

$$t_{ციკ}^{შეო} = t_1 + t_{2>(4)} + t_3 + t_5 + t_6 + t_7 + t_8 + t_9 + t_{10>(11)} \text{ წ},$$

სადაც ნიშანი  $2>(4)$ ..... მე-2 და მე-4 მოძრაობების შეთავსებას აღნიშნავს.

შეთავსებული და შეუთავსებელი ციკლების ხანგრძლივობის გრაფიკული გამოსახვა მოცემულია 1.7 ნახაზზე.

ესაზღვრავთ ამწის ცელურ საექსპლუატაციო მწარმოებლურობას ფორმულით

$$\Pi_{\text{ცელ}} = T \cdot Q \cdot K_{\text{გვ}} \cdot K_{\text{დრ}} \cdot n \text{ ტ/სვ.}$$

სადაც  $T$  არის ცელის ხანგრძლივობა, სთ-ში;


$Q$  — ამწის გვირთამწეობა, ტბ, ისრის მოცემული შეერის დროს;

$K_{\text{გვ}}$  — ამწის გვირთამწეობის მისედვით გამოყენების კოეფიციენტი;

$K_{\text{დრ}}$  — ამწის დროში გამოყენების კოეფიციენტი ცელის განმავლობაში ( $K_{\text{დრ}} = 0,82-0,83$ );

$n$  — ამწის სამუშაო ციკლების რიცხვი ერთი საათის განმავლობაში:

$$n = 3600 / t_{\text{ციკ}}, \quad n^{შეო} = 3600 / t_{\text{ციკ}}^{შეო} .$$



ნახ. 1.7 აწვის სამუშაო ციკლის სამაგალითო სქემა: ა — ოპერაციების შეუთავსებლად; ბ — ოპერაციების შეთავსებით

მაგალითი. შევასრულოთ სამუშაო №1 შემდეგი მონაცემების მიხედვით:

კონსტრუქციული ელემენტი — გიხარი მარკა  $\frac{\text{ПДЛ}-1}{5,98 \times 2,985}$ , წონა  $G=3,6$  ტმ, სიმაღლე  $h_2=2,985$  მ, სისქე  $\delta=0,08$  მ, საბელის (ჯამბარის) სიგრძე  $h_3=3$  მ, ელემენტის დაჯამბარების ხანგრძლივობა  $t_1=1$  წთ, ელემენტის დაყოვნების ხანგრძლივობა მონტაჟის დროს  $t_6=8$  წთ, განჯამბარების ხანგრძლივობა  $t_7=0,6$  წთ. შენობისა და საწყობის გაბარტიგული ზომები (ნახ. 1.6):  $b=12$  მ;  $l_1=50$  მ;  $f=8$  მ;  $l_2=30$  მ;  $l=12$  მ. მონტაჟის დონე  $h_0=20$  მ. ცელის ხანგრძლივობა  $T=8,2$  სთ.  $K_{დრ}=0,82$ .

ამოხსნა:

1. ესაზღვრათ კაკვის აწევის საჭირო სიმაღლე

$$H = h_0 + h_1 + h_2 + h_3 = 20 + 1 + 2,985 + 3 = 26,985 \text{ მ.}$$

2. ისრის მაქსიმალური შეერი

$$a_{\max} = k + b - \left(b_0 + \frac{\delta}{2}\right) = 5 + 12 - \left(0,5 + \frac{0,08}{2}\right) = 16,54 \text{ მ.}$$

3. კაკვის აწევის გამოთვლილი სიმაღლის, ისრის საჭირო შეერის და დასაბონტაჟებელი ელემენტის წონის ( $G=3,6$  ტმ) მიხედვით (1.1 ცხრილიდან) ვირჩევთ შესაბამისი გეირთამწეობის ამწეს KB-100 OM. ამწის მასასიათებლებია: გეირთამწეობა უდიდესი შეერის დროს  $Q=5$  ტმ; შეერი მაქსიმალური გეირთამწეობის დროს —  $a=20$  მ; კაკვის აწევის სიმაღლე უდიდესი შეერის დროს —  $30$  მ;  $H=26,985$  მ; უკანა გაბარტიგ  $r_{\text{გობრ}}=3,5$  მ; ლიანდი და ბაზა —  $c=4,5$  მ; გეირთის აწევის სიჩქარე —  $v_{\text{აწე}}=20$  მ/წთ; გეირთის საყრდენზე დადების სიჩქარე —  $v_{\text{დად}}=5$  მ/წთ; ამწის რელსებზე გადაადგილების სიჩქარე —  $v_{\text{გად}}=31$  მ/წთ; ისრის მობრუნების სისშირე —  $n=0,7$  ბრ/წთ.

4. ეამოწმებთ  $k$ -ს სიდიდეს. მაქსიმალური შეერის განსაზღვრის დროს ჩვენ მივიღეთ  $k=5\theta$ . სინამდვილეში შერჩეული ამწისათვის გვექნება —

$$k \geq r_{\text{მობრ}} + 1\theta = 3,5\theta + 1\theta = 4,5\theta < 5\theta;$$

$$k \geq \frac{c}{2} + d = \frac{4,5}{2} + 1,1 = 3,35\theta < 5\theta,$$

ე. ი. საჭირო პირობა დაკმაყოფილებულია.

5. ვსაზღვრავთ გვირთამწეობის მიხედვით ამწის გამოყენების კოეფიციენტს\*

$$K_{\text{გე}} = \frac{G}{Q} = \frac{3,6}{5} = 0,72.$$

6. ვსაზღვრავთ ამწის სამუშაო ციკლის ოპერაციების ხანგრძლივობას:

$$t_1 = 1 \text{ წთ} = 60 \text{ წ};$$

$$t_2 = \frac{h_0 + h_1}{v_{\text{აწეე}}} = \frac{20 + 1}{20} = 1,05 \text{ წთ} = 1,05 \cdot 60 = 63 \text{ წ};$$

$$t_3 = 60 \frac{\alpha}{2\pi n} = \frac{60}{2\pi n} \left( \arcsin \frac{k + \frac{f}{2}}{a} + \arcsin \frac{k + \frac{b}{2}}{a} \right) =$$

$$= \frac{60}{2 \cdot 3,14 \cdot 0,7} \left( \arcsin \frac{5 + \frac{8}{2}}{20} + \arcsin \frac{5 + \frac{12}{2}}{20} \right) =$$

$$= \frac{60}{2 \cdot 3,14 \cdot 0,7} (\arcsin 0,45 + \arcsin 0,55) = \frac{60}{2 \cdot 3,14 \cdot 0,7} (27^\circ + 33^\circ) = 815 \text{ წ};$$

$$t_4 = \frac{1}{v_{\text{ბად}}} (a \cos \alpha_1 + \frac{l_2}{2} - l + \frac{l_1}{2} - a \cos \alpha_2) = \frac{1}{31} (20 \cdot \cos 27^\circ + \frac{30}{2} - 12 + \frac{50}{2} -$$

$$- 20 \cdot \cos 33^\circ) = \frac{1}{31} (20 \cdot 0,891 + 15 - 12 + 25 - 20 \cdot 0,839) = 0,937 \text{ წთ} = 56,3 \text{ წ};$$

$$t_5 = \frac{h_1}{v_{\text{დად}}} = \frac{1}{5} = 0,2 \text{ წთ} = 12 \text{ წ};$$

$$t_6 = 8 \text{ წთ} = 480 \text{ წ};$$

$$t_7 = 0,6 \text{ წთ} = 36 \text{ წ};$$

$$t_8 = \frac{h_1}{v_{\text{აწეე}}} = \frac{1}{20} = 0,05 \text{ წთ} = 3 \text{ წ};$$

$$t_9 = t_3 = 815 \text{ წ};$$

\* აღნიშნული კოეფიციენტის სიდიდე მაქსიმალურად უნდა უახლოვდებოდეს ერთს.



$$I_{10} = I_4 = 56,3 \text{ წ};$$

$$I_{11} = \frac{h_0 + h_1}{v_{\text{ლაშ}}} = \frac{20 + 1}{20} = 1,05 \text{ წო} = 63 \text{ წ}.$$

$$I_{\text{სიკლ}} = \sum_{i=1}^{11} I_i = 60 + 63 + 815 + 56,3 + 12 + 480 + 36 + 3 + 815 + 56,3 + 63 = 2459,6 \text{ წ}.$$

7. ოპერაციების შეთავსების შემთხვევაში სამუშაო ციკლის ხანგრძლივობა განისაზღვრება

$$I_{\text{სიკლ}}^{\text{შეთ}} = I_1 + I_{2>(4)} + I_3 + I_5 + I_6 + I_7 + I_8 + I_9 + I_{11>(10)} =$$

$$= 60 + 63 + 815 + 12 + 480 + 36 + 3 + 815 + 63 = 2347 \text{ წ}.$$

ესაზღვრება მასშტაბში ამწის სამუშაო ციკლის სქემებს ოპერაციების შეუთავსებლობისა და შეთავსების გათვალისწინებით, 1.7 ნახაზზე მოცემული გრაფიკული გამოსახვის ანალოგიურად.

8. ამწის სამუშაო ციკლების რიცხვი ერთი საათის განმავლობაში, შესაბამისად, შეუთავსებელი და შეთავსებული ოპერაციების შემთხვევებში

$$n = \frac{3600}{2459,6} = 1,46; \quad n^{\text{შეთ}} = \frac{3600}{2347} = 1,53.$$

9. ამწის ცვლური საექსპლუატაციო მწარმოებლურობა შეუთავსებელი ციკლის დროს

$$P_{\text{სულ}} = T \cdot Q \cdot K_{\text{ბე}} \cdot K_{\text{ლრ}} \cdot n = 8,2 \cdot 5 \cdot 0,72 \cdot 0,82 \cdot 1,46 = 35,3 \text{ ტ/ცელ}.$$

10. ამწის ცვლური საექსპლუატაციო მწარმოებლურობა შეთავსებული ციკლის შემთხვევაში

$$P_{\text{სულ}}^{\text{შეთ}} = T \cdot Q \cdot K_{\text{ბე}} \cdot K_{\text{ლრ}} \cdot n^{\text{შეთ}} = 8,2 \cdot 5 \cdot 0,72 \cdot 0,82 \cdot 1,53 = 37 \text{ ტ/ცელ}.$$

## სამუშაო № 2

შეამოწმეთ კომპურა ამწის სატვირთო და საკუთარი მდგრადობა.

### მეთოდური მითითებები

ესაზღვრათ ამწის სიმძიმის ცენტრის კოორდინატებს ისრის პორიზონტალურ მდგომარეობაში ყოფნისა და მისი მაქსიმალურად აწევის შემთხვევებში. ამ მიზნით კოორდინატთა ღერძებს განვალაგებთ ისე, რომ აბსცისათა ღერძი მოთავსდეს რელსების თავის სიბრტყეში, ხოლო ორდინატთა ღერძი დაემთხვეს ამწის ბრუნვის ღერძს.

ესაზღვრათ ამწის სიმძიმის ცენტრის კოორდინატებს ( $h$ ,  $c$ ), რისთვისაც ეპოულობთ ამწეზე მოქმედი ძალებით გამოწვეულ მომენტთა ჯამს, შესაბამისად  $x$  და  $y$  ღერძების მიმართ:

$$\sum_{i=1}^{i=n} M_i^x = h \sum_{i=1}^{i=n} G_i, \quad h = \frac{\sum_{i=1}^{i=n} M_i^x}{\sum_{i=1}^{i=n} G_i};$$

$$\sum_{i=1}^{i=n} M_i^y = c \sum_{i=1}^{i=n} G_i, \quad c = \frac{\sum_{i=1}^{i=n} M_i^y}{\sum_{i=1}^{i=n} G_i},$$

სადაც

$$\sum_{i=1}^{i=n} M_i^x = G_{საა} \cdot h_{საა} + G_{მექ} \cdot h_{მექ} + G_{საენაწ} \cdot h_{საენაწ} + G_{საბ.პლატ} \cdot h_{საბ.პლატ} +$$

$$+ G_{კომ} \cdot h_{კომ} + G_{ისრ} \cdot h_{ისრ} + G_{ბაზ} \cdot h_{ბაზ} + G_{ელექტ} \cdot h_{ელექტ} \quad (\text{ნახ. 1.8, ა});$$

$$\sum_{i=1}^{i=n} M_i^y = G_{საა} \cdot l_{საა} + G_{მექ} \cdot l_{მექ} + G_{საენაწ} \cdot l_{საენაწ} + G_{საბ.პლატ} \cdot l_{საბ.პლატ} +$$

$$+ G_{კომ} \cdot l_{კომ} + G_{ისრ} \cdot l_{ისრ} + G_{ბაზ} \cdot l_{ბაზ} + G_{ელექტ} \cdot l_{ელექტ} \quad (\text{ნახ. 1.8, ა});$$


$$\sum_{i=1}^{i=n} G_i = G_{საა} + G_{მექ} + G_{საენაწ} + G_{საბ.პლატ} + G_{კომ} + G_{ისრ} + G_{ბაზ} + G_{ელექტ} \quad (\text{ნახ. 1.8, ა}).$$

$\sum_{i=1}^{i=n} M_i^x$  -ის განსაზღვრის დროს ამწეებ მოქმედი ძალთა ვექტორები წარ-


მოღგენილია წყვეტილი ხაზით, ხოლო  $\sum_{i=1}^{i=n} M_i^y$  -ის დროს — მთლიანი ხაზით.

შეუნიშნავთ, რომ სიმძიმის ცენტრის  $h$  ორდინატის განსაზღვრის მიზნით ძალთა სისტემა შემობრუნებულია  $90^\circ$  კუთხით\* (ნახ. 1.8, ა).

\* ამწის სიმძიმის ცენტრი არ იყვლის მდებარეობას ძალთა სისტემის შემობრუნებისას ერთი მიმართულებით ნებისმიერი კუთხით.



ნახ. 1.8 (ა) აბნის საბნჯაროლო სქემა



ნახ. 1.8 (ბ) ამწის საანგარიშო სქემა

მოცემულ ფორმულებში აღნიშნულია:

$G_{საა}, h_{საა}, l_{საა}$  — შესაბამისად საპირწონე გვირთვის წონა ღკმ, და საპირწონე გვირთვის სიმძიმის ცენტრის დაშორება  $x$  და  $y$  ღერძებიდან,  $m$  (საპირწონე გვირთვის წონის ვექტორის მხრები  $x, y$  ღერძების მიმართ,  $m$ );

$G_{მექ}, h_{მექ}, l_{მექ}$  — მექანიზმების წონა, ღკმ და მექანიზმების წონის ვექტორის მხრები  $x, y$  ღერძების მიმართ,  $m$ ;

$G_{საე.ნაწ.}, h_{საე.ნაწ.}, l_{საე.ნაწ.}$  — ამწის საეული ნაწილის წონა, ღკმ და საეული ნაწილის წონის ვექტორის მხრები  $x, y$  ღერძების მიმართ,  $m$ ;

$G_{საბ.პლატ.}, h_{საბ.პლატ.}, l_{საბ.პლატ.}$  — საბრუნე პლატფორმის წონა, ღკმ და პლატფორმის წონის ვექტორის მხრები  $x, y$  ღერძების მიმართ,  $m$ ;

$G_{კომ}, h_{კომ}, l_{კომ}$  — ამწის კომპის წონა, ღკმ და კომპის წონის ვექტორის მხრები  $x, y$  ღერძების მიმართ,  $m$ ;

$G_{ისრ}, h_{ისრ}, l_{ისრ}$  — ისრის წონა, ღკმ და ისრის წონის ვექტორის მხრები  $x, y$  ღერძების მიმართ,  $m$ ;

$G_{ბაგ}, h_{ბაგ}, l_{ბაგ}$  — ბაგირების წონა, ღკმ და ბაგირების წონის ვექტორის მხრები  $x, y$  ღერძების მიმართ,  $m$ ;

$G_{ელექტ}, h_{ელექტ}, l_{ელექტ}$  — ელექტრომოწყობილობის წონა, ღკმ და ელექტრომოწყობილობის წონის ვექტორის მხრები  $x, y$  ღერძების მიმართ,  $m$ .


როდესაც ამწის ისარი მაქსიმალურად აწეულია პორიზონტალური მდგომარეობიდან (ნახ. 1.9,ბ),  $\sum_{i=1}^{i=n} M_i^x$  -ის და  $\sum_{i=1}^{i=n} M_i^y$  -ის განსასაზღვრავ ფორმულებში

$G_{ისრ} \cdot h'_{ისრ}$  და  $G_{ისრ} \cdot l'_{ისრ}$  (ნახ. 1.9,ა) შეიცვლება შემდეგი სიდიდეებით:  $G_{ისრ} \cdot h'_{ისრ}$  და  $G_{ისრ} \cdot l'_{ისრ}$  (ნახ. 1.9,ბ) და გვეით აღნიშნულის ანალოგიურად განისაზღვრება ამწის სიმძიმის ცენტრის კოორდინატები ( $h', c'$ )

$$h' = \frac{\sum_{i=1}^{i=n} M_i^x}{\sum_{i=1}^{i=n} G_i}; \quad c' = \frac{\sum_{i=1}^{i=n} M_i^y}{\sum_{i=1}^{i=n} G_i}.$$

ამწის სქემას ვყოფთ ნაწილებად (ნახ. 1.10) და ვანგარიშობთ თითოეულ ნაწილზე მოქმედი ქარის დაგვირთვას. ამწის სქემის ნაწილებად დაყოფისას უნდა გავითვალისწინოთ კომპის გაბარიტული ზომების ცვალებადობა, ბაგირების, მემანქანის კაბინის, ჯალამბრების, საპირწონე გვირთვის და სხვ. განლაგება ამწის სიმაღლეზე, ამწის ისრისა და თავის ნაწილის ფორმა და გაბარიტული ზომები და ა. შ.

ესაზღვრავთ ქარის დაგვირთვის გოლქმედის მოდების წერტილს. 1.10 ნახაზის თანახმად



ნახ. 1.9 ამწის საანგარიშო სქემები: ა — ისარი პორიზონტალურია; ბ — ისარი მაქსიმალურად არის აწეული.

$$F_1 a_1 H_1 + F_2 a_2 H_2 + F_3 a_3 H_3 + F_4 a_4 H_4 + F_5 a_5 H_5 + F_6 a_6 H_6 = \rho \sum_{i=1}^{i=n} F_i a_i .$$

აქედან

$$\rho = \frac{F_1 a_1 H_1 + F_2 a_2 H_2 + F_3 a_3 H_3 + F_4 a_4 H_4 + F_5 a_5 H_5 + F_6 a_6 H_6}{\sum_{i=1}^{i=n} F_i a_i}$$

სადაც


$F_1 \div F_6$  არის ამწის შესაბამისი ნაწილების ქარპირა ფართობები (რომლებიც განიციდან ქარის დატვირთვას), მ<sup>2</sup>;

$H_1 \div H_6$  — ამწის შესაბამისი ნაწილების ფართობების ცენტრების დაშორება რელსების თავის სიბრტყიდან, მ;

$a_1 \div a_6$  — ამწის შესაბამისი ნაწილების ქარპირა ზედაპირებზე მოქმედი განაწილებული ქარის დატვირთვა, ღკმ/მ<sup>2</sup> (კგძ/მ<sup>2</sup>).

ამწის კვანძებისა და ლითონის კონსტრუქციების ელემენტების საანგარიშო ქარპირა ფართობები მიიღება გოლი:

ცალკეული ღეროებისა და ბაგირებისათვის — ღეროს ან ბაგირის სიგრძე გამრავლებული განივეკეთის საანგარიშო სიგანეზე, ან ღეროს ან ბაგირის დიამეტრზე;



ნახ. 1.10 ქარის დატვირთვის საანგარიშო სქემა

ბრტყელი ფერმებისათვის — ფერმის სიბრტყეზე ღეროების პროექციების ფართობების ჯამი;

სივრცითი ფერმებისათვის — წახნავის საანგარიშო ფართობისა, რომელიც განიხილება, როგორც ბრტყელი ფერმა;

კაბინების, ჯალამბურების, სამანქანო განყოფილებების, ბალასტის ფილების, საპირწონე ტვირთისა და ასაწვეი ტვირთისათვის — ქარის მიმართულებისადმი პერპენდიკულარულ სიბრტყეზე პროექციის ფართობისა.

განაწილებული ქარის დატვირთვა ა განისაზღვრება ფორმულით:


$$w = q_0 \cdot n \cdot C \cdot n_{\text{ვალ}} \cdot \gamma_{\text{ქ}}, \text{ ღკნ/მ}^2 \text{ (კგძ/მ}^2\text{)}$$

სადაც  $q_0$  არის ქარის სიჩქარითი დაწნევა მიწის ზედაპირიდან 10მ-ის სიმაღლეზე, ღკნ/მ<sup>2</sup> (კგძ/მ<sup>2</sup>) (ცხრილი 1.2);

$n$  — შესწორების კოეფიციენტი ქარის სიჩქარითი დაწნევის ზრდაზე, მიწის ზედაპირიდან სიმაღლისაგან დამოკიდებულებით (ნახ. 1.11 [8]);

ქარის სიჩქარითი დაწნევა  $q_0$ , ლენ/მ<sup>2</sup> (კგმ/მ<sup>2</sup>)

ყოფილი სსრკ-ს საქარე რაიონები ГОСТ 1451-77-ის მიხედვით	ამწის მდგომარეობა	
	არასამუშაო	სამუშაო
1-3	45	11
4-5	70	18
6-7	100	18



ნახ. 1.11 ქარის სიჩქარითი დაწნევის შესწორების კოეფიციენტის მნიშვნელობები

$C$  — აეროდინამიკური კოეფიციენტი (ამ კოეფიციენტის მნიშვნელობის განსაზღვრა იხილეთ [8]);

$n_{გაღ}$  — გადაგვირთვის კოეფიციენტი (ამწის მდგომარეობის ანგარიშის დროს მიიღება ერთიანი ტოლი ГОСТ 1451-77);


$\gamma_f = 1 + \beta m_x$  — კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს კონსტრუქციებზე დინამიკურ გემოქმედებას, გამოწვეულს ქარის ნაკადის სიჩქარითი დაწნევის პულსაციით.  $m_x$  — სიჩქარითი დაწნევის პულსაციის კოეფიციენტი და განისაზღვრება ამწის ისრის საყრდენი სახსარის მიწის ზედაპირიდან განლაგების სიმაღლისაგან დამოკიდებულებით,  $m$  (ცხრილი 1.3 [8]);  $\beta$  — დინამიკურობის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება ამწის თავისუფალი რხევის პერიოდისაგან დამოკიდებულებით (ნახ. 1.12 [8]).

ამწის თავისუფალი რხევის პერიოდი  $T_{წ}$ , როდესაც კაკეზე მოღებულა ასაწვეი ტვირთი, განისაზღვრება ფორმულით:

$$T_{დაბ} = T_0 \sqrt{\frac{H_{კომპი}}{L_{ისრ}}}$$



ობიექტი	პულსაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა $m_3$ , სხვადასხვა სიმაღლეზე, მ							
	20-ღე	40	60	80	100-200	200-300	300-400	400 ზეით
ნაგებობები	0,35	0,32	0,28	0,25	0,21	0,18	0,14	0,10
საღუნები	0,25	0,22	0,20	0,18	0,15	0,12	0,10	0,08



ნახ. 1.12 დინამიკურობის β კოეფიციენტი

სადაც  $T_0$  მიიღება ცხრილი 1.4 [2]-დან ისარმე მოდებული გვირთის მხრისა (გვირთის აწევის საჭირო შეერის)  $L_{გვ}$  და გვირთის ნორმატიული წონისაგან  $Q^{II}$  დამოკიდებულებით;

$H_{კომ}$  — კომის სიმაღლე, მ;

$L_{ისრ}$  — ისრის სიგრძე, მ.

ამწეებისათვის, რომლებიც დაუგვირთავენ (კაკეზე არ არის მოდებული გვირთი), თავისუფალი რხევის პერიოდი მიიღება დაგვირთული ამწის (მოცემული შეერისათვის კაკეზე მოდებული გვირთით) თავისუფალი რხევის პერიოდის ნახევრის გოლი

$$T_{დაუგ} = \frac{1}{2} T_{დაგ}.$$

$\gamma_{ქ}$  კოეფიციენტის მნიშვნელობა ქარის დაგვირთვისათვის ასაწეე გვირთზე მიიღება  $\gamma_{ქ,გვ} = 1,25$ .

აეროდინამიკური კოეფიციენტის სიდიდე კაბინების, ჯალამბრების, სამანქანო განყოფილებების, ბალასტის ფილების, საპირწონე გვირთის, ასაწევი გვირთის, ბაგირებისა და კაბელებისათვის მიიღება  $C=1,2$ .

აეროდინამიკური კოეფიციენტი სხვადასხვა პროფილის ღეროსათვის განივ ნაკადში, მიიღება 1.5 ცხრილის [8] მიხედვით; ბრტყელი ფერმებისათვის განივ ნაკადში გამოითვლება ფორმულებით: (II-94), (II-95), (II-96) [8], 146-151 გვერდებზე [8] მოცემული განმარტებების გათვალისწინებით; სივრცითი ფერმებისათვის განივ ნაკადში ფორმულებით (II-100) და 152-158 გვერდებზე [8] მოყვანილი რეკომენდაციების დაცვით.

L, მ	Q <sup>II</sup> , ლენ(კვტ)									
	500-1000	1000-2000	2000-4000	4000-8000	8000-12000	12000-16000	16000-20000	20000-30000	30000-40000	40000-50000
4	0,8	1	1,2	1,4	1,6	1,7	1,8	1,9	2	2,1
8	1	1,2	1,4	1,6	1,7	1,8	1,9	2	2,1	2,2
16	1,2	1,4	1,6	1,7	1,8	1,9	2	2,1	2,2	2,4
20	1,4	1,6	1,7	1,8	1,9	2	2,1	2,2	2,4	2,6
30	1,6	1,7	1,8	1,9	2	2,1	2,2	2,4	2,6	2,8
40	1,7	1,8	1,9	2	2,1	2,2	2,4	2,6	2,8	3

ამწის საგვირთო და საკუთარი მდგრადობის შემოწმების დროს (ГОСТ 13994-81) საჭიროა შეირჩეს გადაყირავეების წახნაგის ისეთი მდებარეობა, რომლის დროსაც ამწე მდგრადობის თვალსაზრისით მაქსიმალურად უახლოვდება მღერულ მდგომარეობას.

ამწის საგვირთო მდგრადობის უზრუნველსაყოფად (ასაწევი გვირთის მოქმედების დროს) უნდა შესრულდეს შემდეგი უტოლობა (ნახ. 1.13,ა):

$$K_{გვ} \cdot M_{გვ}^H + M_{wl}^H + M_{დინ} \leq 0,95M_{საკ.1}^H$$

სადაც  $K_{გვ}$  არის გადაგვირთვის კოეფიციენტი გვირთით მუშაობის დროს (განისაზღვრება 1.6 ცხრილის მიხედვით);

$M_{გვ}^H$  —  $Q^H$  გვირთის წონით გამოწვეული ნორმატიული დაგვირთვით აღძრული მომენტი მიიღება ყველაზე საშიში (მდგრადობის თვალსაზრისით) შეერის მიხედვით, ლენ.მ.(კვტ.მ.);













$M_{wl}^H$  — ამწეზე და ასაწევი გვირთზე მოქმედი ნორმატიული ქარის დაგვირთვით გამოწვეული მომენტი ამწის გადაყირავეების წახნაგის მიმართ, ლენ.მ.(კვტ.მ.);

$M_{დინ}$  — დინამიკური დაგვირთვებით გამოწვეული მომენტი ამწის გადაყირავეების წახნაგის მიმართ, ლენ.მ.(კვტ.მ.); მიიღება უდიდესი: ქარის პულსაციით გამოწვეულ  $M_{პულ}$  მომენტსა და გვირთის ასაწევი და ამწის რელსებზე გადასაადგილებელი მექანიზმების ერთდრული გაქანებით (დამუხრუჭებით) გამოწვეულ  $M_{ინ}$  მომენტს შორის, ლენ.მ.(კვტ.მ.) [7];

ანგარიშის გამარტივების მიზნით ვლებულობთ  $M_{wl} = M_{wl}^H + M_{დინ}$ , რასაც უტოლებთ ამწეზე და გვირთზე საანგარიშო ქარის დაგვირთვით გამოწვეულ საყირაო მომენტს  $A$  წერტილის მიმართ;

$M_{საკ.1}^H$  — ამწის წონით გამოწვეული ნორმატიული დაგვირთვით  $G_{საკ.1}^H$  აღძრული საკავი მომენტი, ლენ.მ.(კვტ.მ.) სამუშაო მდგომარეობაში.


$L = \frac{l}{d}$ პროექტილი	1-5	5-10	10-15	15-25	25-50	50-100	100-200	>200
1	2	3	4	5	6	7	8	9
	1,20	1,24	1,29	1,41	1,62	1,83	1,88	2,00
	1,20	1,24	1,29	1,41	1,62	1,83	1,88	2,00
	1,31	1,32	1,36	1,43	1,65	1,90	2,05	2,18
	0,72	0,74	0,77	0,85	0,97	1,10	1,13	1,20
	1,10	1,13	1,18	1,29	1,48	1,67	1,72	1,83
	1,20	1,24	1,29	1,41	1,62	1,83	1,88	2,00
	1,20	1,21	1,25	1,31	1,51	1,74	1,88	2,00
	1,44	1,46	1,50	1,58	1,81	2,09	2,26	2,40
	0,93	1,03	1,17	1,30	1,38	1,43	1,45	1,50
	0,43	0,48	0,55	0,61	0,64	0,67	0,68	0,70
	1,08	1,21	1,37	1,52	1,61	1,66	1,70	1,75
	0,66	0,67	0,69	0,72	0,83	0,96	1,03	1,10

1	2	3	4	5	6	7	8	9
	0,75	0,88	1,00	1,07	1,12	1,15	1,17	1,20
	1,14	1,17	1,23	1,34	1,54	1,74	1,79	1,90
	1,20	1,24	1,29	1,41	1,62	1,83	1,88	2,00
	0,96	0,99	1,03	1,13	1,30	1,46	1,50	1,60
	1,11	1,14	1,19	1,30	1,50	1,69	1,74	1,85
	1,32	1,36	1,42	1,55	1,78	2,02	2,07	2,20
	1,14	1,17	1,23	1,34	1,54	1,74	1,79	1,90
	0,31	0,35	0,40	0,44	0,46	0,48	0,49	0,50
	1,23	1,27	1,32	1,45	1,66	1,88	1,93	2,05
	0,63	0,58	0,66	0,73	0,79	0,83	0,84	0,87
	1,20	1,24	1,29	1,41	1,62	1,83	1,88	2,00
	1,20	1,24	1,29	1,41	1,62	1,83	1,88	2,00



შენიშვნა. მოყვანილი მნიშვნელობები სამართლიანია რეინოლდსის რიცხვის  $R_e \leq 0,15 \times 10^6$  დროს.

ამწის საკუთარი მდგრადობა განისაზღვრება ორი შემთხვევისათვის: ამწის თავისუფლად ბრუნვის შეუძლებლობის (ნახ. 1.13,ბ) და შესაძლებლობის (ნახ. 1.13,გ) დროს


$$M_{w2}^H + M_{კუვ} \leq 0,95M_{საკ2}^H,$$



$$(c + \frac{L_{აბ}}{2}) \cos \alpha - R' \sin \alpha \quad (L_{შპ}^{max} - \frac{L_{აბ}}{2}) \cos \alpha + (H_{კუვ} + H) \sin \alpha \quad (\frac{L_{აბ}}{2} - c') \cos \alpha - R' \sin \alpha$$





$$(c' + \frac{L_{აბ}}{2}) \cos \alpha - R' \sin \alpha$$



$$(L_{აბ} - c) \cos \alpha - R' \sin \alpha \quad (L_{შპ}^{max} + \frac{L_{აბ}}{2}) \cos \alpha - (H_{კუვ} + H) \sin \alpha$$

ნახ. 1.13 ამწის მდგრადობაზე გასაანგარიშებელი სქემები



ნახ. 1.13 ამწის მდგრადობაზე გასაანგარიშებელი სქემები

სადაც  $M_{საკ,2}^H$  არის ამწის წონით  $G_{აწ}^H$  გამოწვეული ნორმატიული საკაბი მომენტი, დენ.მ.(კვტმ.) არასამუშაო მდგომარეობაში;

$M_{w2}^H$  — ამწეზე მოქმედი ნორმატიული ქარის დატვირთვით გამოწვეული მომენტი ამწის გადაყირაუების წახნაგის მიმართ, დენ.მ.(კვტმ.) არასამუშაო მდგომარეობაში.

ამწის კაკეზე  $Q^H$  დატვირთვის უეცარი მოხსნის შემთხვევაში (ნახ. 1.13,დ) დაეული უნდა იყოს პირობა

$$0,3M_{ბე}^H + M_{w3}^H \leq 0,95M_{საკ,3}^H,$$

სადაც  $M_{საკ,3}^H$  არის ამწის წონით  $G_{აწ}^H$  გამოწვეული ნორმატიული საკაბი მომენტი, დენ.მ.(კვტმ) კაკეზე დატვირთვის უეცარი მოხსნის დროს;

ცხრილი 1.6

გადატვირთვის კოეფიციენტი  $K_{ტვ}$

რეკომი	მსუბუქი			საშუალო			მძიმე		
პასუხისმგებლობის კლასი	III	II	I	III	II	I	III	II	I
გადატვირთვის კოეფიციენტი $K_{ტვ}$ ასაწვეი გვირის წონის დროს:									
1500 დენ (კვტ)-ე	1,20	1,25	1,30	1,25	1,30	1,35	1,30	1,35	1,40
1600-10000 დენ (კვტ)	1,15	1,20	1,25	1,20	1,25	1,30	1,25	1,30	1,35
10000 დენ-ზე მეეეეე	1,10	1,15	1,20	1,15	1,20	1,25	1,20	1,25	1,30

შენიშვნა. პასუხისმგებლობის კლასი შესაბამეა: III-მეორე სართულიან და სასოფლო მშენებლობას; II — მშენებლობის დანარჩენ სახეებს, გარდა I და III კლასებისა, საწყობების მომსახურებას; I — პილოტეჟნიკურ მშენებლობას.

$M_{w3}^H$  — ამწებზე მოქმედი ნორმატიული ქარის დატვირთვით გამოწვეული მომენტი ამწის გადაყირავენების წახნაგის მიმართ, ღკმ. (კვტმ) სამუშაო მდგომარეობაში.

ამწის მონტაჟის (დემონტაჟის) დროს ესარგებლობთ უკულობით (ნახ. 1.13, ე)

$$K_{მონტ} \cdot M_{მონტ}^H \leq 0,95M_{საკ4}^H$$

სადაც  $M_{საკ4}^H$  არის ამწის უძრავი ნაწილების ნორმატიული წონით  $G_{უძრ}^H$  გამოწვეული საკავი მომენტი, ღკმ. (კვტმ.) ამწის მონტაჟის (დემონტაჟის) დროს;

$K_{მონტ}$  — გადატვირთვის კოეფიციენტი მონტაჟის (დემონტაჟის) დროს (მიიღება 1.7 ცხრილის მიხედვით);

$M_{მონტ}^H$  — ამწის ასაწევი ნაწილების ნორმატიული წონით  $G_{ასაწ}^H$  გამოწვეული მომენტი მონტაჟის (დემონტაჟის) პროცესში, ამწის გადაყირავენების წახნაგის მიმართ, ღკმ. (კვტმ).

ცხრილი 1.7

გადატვირთვის კოეფიციენტი  $K_{მონტ}$

საგირთო მომენტი, ღკმ-მ	$K_{მონტ}$
25000-მდე	1,3
30000-200000	1,15
200000-ზე მეტი	1,1

კომპის აწევის შემდეგ წარმოებს მდგრადობის ანგარიში 1.13, ე ნახაზზე მოცემული სქემის მიხედვით. მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნება, თუ შესრულდება უტოლობა

$$M_w^H + M_{კულ} \leq 0,95M_{საკ4}^H$$

სადაც  $M_w^H$  არის ამწის დამონტაჟებულ ნაწილებზე მოქმედი ნორმატიული ქარის დატვირთვით გამოწვეული მომენტი, ამწის გადაყირავენების წახნაგის მიმართ, ღკმ. (კვტმ) სამუშაო მდგომარეობაში;

$M_{საკ4}^H$  — ამწის დამონტაჟებული ნაწილების ნორმატიული წონით  $G_{დამ}^H$  გამოწვეული საკავი მომენტი, ღკმ. (კვტმ), ამწის გადაყირავენების წახნაგის მიმართ.

**მაგალითი.** შევასრულოთ მე-2 სამუშაო შემდეგი მონაცემების მიხედვით: მუშაობის რეჟიმი — მსუბუქი; პასუხისმგებლობის კლასი — III; გვირთის ქარპირა ბელაპირის ზომები —  $3 \times 2$  მ<sup>2</sup>; ასაწევი გვირთის წონა —  $Q^H = 3000$  ღკნ (კვტ); საჭირო შერი —  $L_{გვ} = 8,25$  მ;  $Q_{min}^H = 2000$  ღკნ (კვტ);  $Q_{max}^H = 5000$  ღკნ (კვტ);  $L_{შვ}^{max} = 12,5$  მ;  $L_{შვ}^{min} = 3,5$  მ;  $H_{min} = 10$  მ;  $H_{max} = 20,85$  მ;  $L_{ისრ} = 11$  მ;  $L_{აგ} = 5,4$  მ;  $H_{კომ} = 12$  მ;

$H_{\text{თავ}} = 5,03\text{მ}; H = 2630\text{მმ}; R_0 = 4,97\text{მ}; R_1 = 1,75\text{მ}; L_{\text{ლიანდ}} = 5,4\text{მ}; D_{\text{საბ.პლატ}} = 4,2\text{მ};$   
 $e = 0,75\text{მ}; h_{\text{კაბ}} = 2100\text{მმ}; l_{\text{კაბ}} = 1500\text{მმ}; f = 730\text{მმ}; \delta_1 = 2000\text{მმ}; \delta_2 = 600\text{მმ};$   
 $\delta_3 = 1700\text{მმ}; \delta_4 = 850\text{მმ}; \delta_5 = 800\text{მმ}; l_{\text{კომ}} = 0,75\text{მ}; \delta_6 = 1250\text{მმ}; b_{\text{კაბ}} = 1440\text{მმ};$   
 კომპის სარტყელი -  $L90 \times 8$ ; ირიბანა -  $L80 \times 8$ ; განმბჯენი -  $L63 \times 6$ ; ისრის  
 სარტყელი -  $L50 \times 5$ ; ირიბანა -  $L50 \times 5$ ; განმბჯენი -  $L50 \times 5$ ;  $a \times b = 1,4 \times 1,4\text{მ}^2$ ;  
 $c \times d = 0,75 \times 0,9\text{მ}^2$ ;  $n_{\text{კაბ}} = 1\text{მ}; n_{\text{კაბ}} = 5$ ;  $l_{\text{კაბ}} = 1\text{მ}; n_{\text{კაბ}} = 12\text{ცალი}; l_{\text{კაბ}} = 1\text{მ}; n_{\text{კაბ}} = 11\text{ცალი};$   
 $l_{\text{სა}} = 3,8\text{მ}; l_{\text{მექ}} = 0,5\text{მ}; h_{\text{მექ}} = 3,0\text{მ}; l_{\text{ელექტ}} = 0,25\text{მ}; h_{\text{ელექტ}} = 3,6\text{მ}; l'_{\text{ისრ}} = 2,5\text{მ}; h'_{\text{ისრ}} =$   
 $= 20,06\text{მ}; F_{\text{მექ}} = 1,4\text{მ}^2; F_{\text{ელექტ}} = 1,0\text{მ}^2; l_{\text{ბაგ}} = 2,61\text{მ};$  ბაგირის სიგრძე -  $85\text{მ}$ ; ბაგირის  
 ღიამეტრი -  $d_{\text{ბაგ}} = 15\text{მ}$ ;  $\Sigma G = 18395\text{დენ(კგ)}$ ;  $G_{\text{კომინტ}} = 12960\text{დენ(კგ)}$ ;  $G_{\text{კომ}} =$   
 $= 4950\text{დენ(კგ)}$ ;  $G_{\text{ისრ}} = 1310\text{დენ(კგ)}$ ;  $G_{\text{საე.ნაწ}} = 4100\text{დენ(კგ)}$ ;  $G_{\text{საბ.პლატ}} =$   
 $= 2600\text{დენ(კგ)}$ ;  $G_{\text{სა}} = 950\text{დენ(კგ)}$ ;  $G_{\text{მექ}} = 2800\text{დენ(კგ)}$ ;  $G_{\text{ელექტ}} = 985\text{დენ(კგ)}$ ;  
 $G_{\text{ბაგ}} = 700\text{დენ(კგ)}$ .

**ამოხსნა:**

1. მასშტაბში უხაზავთ კომპურა ამწის საანგარიშო სქემას (ნახ. 1.14).
2. უსაზღვრავთ ამწის სიძიძის ცენტრის კოორდინატებს ისრის პორიზონტალური მდგომარეობის დროს

$$h = \frac{\sum_{i=1}^{i=n} M_i^x}{\sum_{i=1}^{i=n} G_i}, \quad c = \frac{\sum_{i=1}^{i=n} M_i^y}{\sum_{i=1}^{i=n} G_i}$$


$$\begin{aligned}
 \sum_{i=1}^{i=n} M_i^x &= G_{\text{სა}} \cdot h_{\text{სა}} + G_{\text{მექ}} \cdot h_{\text{მექ}} + G_{\text{საე.ნაწ}} \cdot h_{\text{საე.ნაწ}} + G_{\text{საბ.პლატ}} \cdot h_{\text{საბ.პლატ}} + \\
 &+ G_{\text{კომ}} \cdot h_{\text{კომ}} + G_{\text{ისრ}} \cdot h_{\text{ისრ}} + G_{\text{ბაგ}} \cdot h_{\text{ბაგ}} + G_{\text{ელექტ}} \cdot h_{\text{ელექტ}} = 950 \cdot 3,48 + 2800 \cdot 3 + \\
 &+ 4100 \cdot 1,6 + 2600 \cdot 2,3 + 4950 \cdot 8,63 + 1310 \cdot 14,63 + 700 \cdot 14,63 + 985 \cdot 3,6 = 3300 + \\
 &+ 8400 + 6550 + 5970 + 42600 + 19200 + 10241 + 3540 = 99801\text{დენ} \cdot \text{მ}.
 \end{aligned}$$

$$\sum_{i=1}^{i=n} G_i = 18395 \text{ დენ.} \quad h = \frac{99801}{18395} = 5,44 \text{ მ.}$$

$$\begin{aligned}
 \sum_{i=1}^{i=n} M_i^y &= G_{\text{სა}} \cdot l_{\text{სა}} + G_{\text{მექ}} \cdot l_{\text{მექ}} + G_{\text{საე.ნაწ}} \cdot l_{\text{საე.ნაწ}} + G_{\text{საბ.პლატ}} \cdot l_{\text{საბ.პლატ}} + \\
 &+ G_{\text{კომ}} \cdot l_{\text{კომ}} + G_{\text{ისრ}} \cdot l_{\text{ისრ}} + G_{\text{ბაგ}} \cdot l_{\text{ბაგ}} + G_{\text{ელექტ}} \cdot l_{\text{ელექტ}} = 950 \cdot 3,8 + 2800 \cdot 0,5 + \\
 &+ 4100 \cdot 0 + 2600 \cdot 0 + 4950 \cdot 0,75 + 1310 \cdot 7 + 700 \cdot 2,61 + 985 \cdot 0,25 = 3620 + \\
 &+ 1400 + 3710 + 9170 + 1827 + 246 = 19973 \text{ დენ} \cdot \text{მ}.
 \end{aligned}$$

$$c = \frac{19973}{18395} = 1,09 \text{ მ.}$$





ნახ. 1.14 კომპლურა ამწის საანტარითო სქემა

3. ამწის სიმძიმის ცენტრის კოორდინატები, როდესაც ისარი მაქსიმალურად არის აწეული პორიზონტალური მდგომარეობიდან

$$h' = \frac{\sum_{i=1}^{i=n} M_i' x'}{\sum_{i=1}^{i=n} G_i} = \frac{99801 - 19200 + G_{\text{ისრ}} \cdot h'_{\text{ისრ}}}{18395} = \frac{80601 + 1310 \cdot 20,06}{18395} = \frac{106901}{18395} = 5,8 \text{ მ.}$$

$$c' = \frac{\sum_{i=1}^{i=n} M_i' y'}{\sum_{i=1}^{i=n} G_i} = \frac{19973 - 9170 + G_{\text{ისრ}} \cdot c'_{\text{ისრ}}}{18395} = \frac{10803 + 1310 \cdot 2,5}{18395} = \frac{14083}{18395} = 0,77 \text{ მ.}$$

4. ვაგებთ კოშკისა და ისრის გომეტრიულ სქემებს (ნახ. 1.15).

5. ეანგარიშობთ ქარის დაგვირთვის სიდიდეს ამწის კოშკისა და ისრის ნაკვეთურებზე, აგრეთვე კაბინაზე, ბაგიურებზე, საპირწონე ტვირთზე, მექანიზმებზე, ელექტრომოწყობილობებზე, ამწის საეალ ნაწილზე, საბრუნ პლატფორმაზე და ასაწე ტვირთზე.

1) ქარის დაგვირთვა ამწის კოშკის კონსტრუქციაზე

ესაზღვრავთ თითოეული ნაკვეთურისათვის საჩრდილებელ ( $S_{\text{საჩ}}$ ) და გაბარიტულ ( $F_{\text{გაბ}}$ ) ფართობებს. ეინაიდან ნაკვეთურები ერთნაირი მომისაა, ამიტომ ეანგარიშობთ ერთი ნაკვეთურისათვის (ნახ. 1.15).

$$S_{\text{საჩ}}^{\text{სარბ}} = 1,0 \times 0,09 \times 2 = 0,18 \text{ მ}^2; \quad \lambda = \frac{l}{d} = \frac{1}{0,09} = 11; \quad C_x^{\text{სარბ}} = 1,29.$$

$$S_{\text{საჩ}}^{\text{ორბ}} = (1,72 - 2 \times 0,09) \times 0,08 = 0,123 \text{ მ}^2; \quad \lambda = \frac{1,72}{0,08} = 21,5; \quad C_x^{\text{ორბ}} = 1,41.$$

$$S_{\text{საჩ}}^{\text{განმზ}} = (1,4 - 2 \times 0,09) \times 0,063 = 0,077 \text{ მ}^2; \quad \lambda = \frac{1,4}{0,063} = 22,2; \quad C_x^{\text{განმზ}} = 1,41.$$

$$\sum S_{\text{საჩ}}^i = 0,18 + 0,123 + 0,077 = 0,38 \text{ მ}^2.$$

$$\sum S_{\text{საჩ}}^i \cdot C_x^i = 0,18 \times 1,29 + 0,123 \times 1,41 + 0,077 \times 1,41 = 0,233 + 0,173 + 0,11 = 0,417 \text{ მ}^2.$$


$$F_{\text{გაბ}} = 1,0 \times 1,4 = 1,4 \text{ მ}^2.$$

$$\frac{\sum S_{\text{საჩ}}^i}{F_{\text{გაბ}}} = \frac{0,38}{1,40} = 0,271. \text{ ამ უკანასკნელისაგან დამოკიდებულებით გრაფიკიდან (ნახ. 1.16 [8])$$

ესაზღვრავთ  $K_{\text{ლერ}}$  კოეფიციენტს, რომელიც ითვალისწინებს ლეროების ურთიერთ აეროდინამიკურ გავლენას —  $K_{\text{ლერ}} = 0,78$ .

ბრტყელი ფერმის ნაკვეთურის შუბლური წინალობის კოეფიციენტი  $C_{x0}$  განსაზღვრება ლეროების პროფილების შუბლური წინალობის კოეფიციენტის  $C_x'$  მიხედვით





ნახ. 1.16 აეროდინამიკური  
გაულენის კოეფიციენტის  
მნიშვნელობები

$$C_{x_0} = K_{\text{აერ}} \frac{\sum S_{\text{სარ}}^i \cdot C_x^i}{\sum S_{\text{სარ}}^i} = 0,78 \cdot \frac{0,417}{0,38} = 0,855.$$

ახლა განვსაზღვროთ ქარის ნაკადის სიჩქარით დაწნევის პულსაციით აღ-  
ძრული დინამიკური ზემოქმედების გასათვალისწინებელი კოეფიციენტის სიდიდე  
 $\gamma_j = 1 + \beta m_j$ .

$m_j = 0,35$  (ცხრილი 1.3) არის სიჩქარითი დაწნევის პულსაციის კოეფი-  
ციენტი 20 მ-ის სიმაღლეზე;

$\beta$  – დინამიკურობის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება ამწის თავი-  
სუფალი რხევის პერიოდისაგან დამოკიდებულების (ნახ. 1.12) მიხედვით.

ამწის თავისუფალი რხევის პერიოდი, როდესაც ამწე დაგვირთულია ასაწე-  
ვი გვირით, განისაზღვრება ფორმულით:

$$T_{\text{დაბ}} = T_0 \sqrt{\frac{H_{\text{კომ}}}{L_{\text{ისრ}}}},$$

სადაც  $T_0 = 1,4$ წ მიიღება 1.4 ცხრილიდან,  $L_{\text{გვ}}$ -სა და  $Q^H$  — გან დამოკიდებუ-  
ლებით;

$H_{\text{კომ}} = 128$  — კომპის სიმაღლეა;

$L_{\text{ისრ}} = 118$  — ისრის სიგრძე.

მაშასადამე,  $T_{\text{დაბ}} = 1,4 \cdot \sqrt{\frac{12}{11}} = 1,4 \cdot 1,045 = 1,47$  წ.

ამ უკანასკნელის მიხედვით 1.12 ნასამიდან ვსაზღვრავთ დინამიკურობის კო-  
ეფიციენტს  $\beta = 2,0$ .

ამრიგად,  $\gamma_j = 1 + 2 \cdot 0,35 = 1,7$ .

ქარის ნაკადის სიჩქარითი დაწნევა ამწის კონსტრუქციაზე, მიწის ზედაპი-  
რიდან 10მ-ის სიმაღლეზე არასამუშაო მდგომარეობაში მივიღოთ ტოლი  
 $q_0 = 56$  კგ/მ<sup>2</sup>, ხოლო სამუშაო მდგომარეობაში — 18 კგ/მ<sup>2</sup> (ცხრილი 1.2).

\* დაუგვირთავი ამწის (როდესაც კაეზე გვირით არ არის მოღებული) თავისუფალი რხე-  
ვის პერიოდი მიიღება მოყვებული შვერის შემთხვევაში კაეზე მაქსიმალური გვირითის  
მოღებისას განსაზღვრული თავისუფალი რხევის პერიოდის ნახევრის ტოლი.

შესწორების კოეფიციენტი ქარის სიჩქარითი დაწნევის ზრდაზე, მიწის ზედაპირიდან სიმაღლისაგან დამოკიდებულებით მიიღება გრაფიკის მიხედვით (ნახ. 1.11 [8]): ამწის გადასაადგილებელი რელსების თავის ზედაპირიდან 10მ სიმაღლეზე, ე. ი. ამწის კომის XVII ნაკვეთურიდან X ნაკვეთურის ჩათვლით (III პანელი)  $n=1,0$ . IX÷VI ნაკვეთურებისათვის, ე. ი. 10მ-დან 14მ-ის ჩათვლით (II პანელი) შესწორების კოეფიციენტი (ნახ. 1.11 [8])

$$n_{II} = \frac{1+1,18}{2} = \frac{2,18}{2} = 1,09.$$

თუ  $Z_5=22$ , მაშინ  $Z_6 = Z_5 \cdot U_{5-6} = 22 \cdot 3,06 = 67,32$ , ხოლო თუ  $Z_6=67$ , მაშინ



$$U_{5-6} = \frac{Z_6}{Z_5} = \frac{67}{22} = 3,05. \text{ საერთო გადაცემის რიცხვი } U = U_{ფაქ} \cdot U_{5-6} = 16,3 \times 3,05 = 49,72.$$

გადაადგილების სიჩქარეს არ ვაზუსტებთ, ვინაიდან საერთო გადაცემის რიცხვი შეიცვალა უმნიშვნელოდ.



წამყვანი ლილვის ბრუნვის სიხშირე $n$ , წმ <sup>-1</sup>	გადატემის რიყები $U_{\text{კა}}$									ΠВ,%
	8,32	9,8	12,41	16,3	19,88	24,9	32,42	41,34	50,94	
	სიმძლავრე წამყვან ლილვზე, კვტ									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
<b>რელექტორი 112-200</b>										
600	7,7	6,8	6,1	5,8	5,4	4,4	3	2,4	2	25
	5,9	5,2	4,2	3,9	3,6	2,5	1,6	1,6	1,1	40
	4,6	3,8	3,3	2,1	1,7	1,3	0	0,7	0,5	100
750	9,3	8	6,7	6,2	5,5	5,4	3,8	3,2	2,7	25
	7,2	6,1	4,8	4,2	3,7	2,7	1,8	1,8	1,3	40
	5,7	4,8	3,8	2,6	2,1	1,7	1,3	0,8	0,7	100
1000	11,5	10	8	7,9	6,6	5,4	4,1	4,1	3,7	25
	8,8	7,8	6,1	5,9	4,2	3,2	2,1	2,1	1,6	40
	7,65	6,3	5,1	3,4	2,8	2,2	1,7	1,1	0,9	100
1500	13	11,5	10,8	10,8	8,7	6,6	4,8	4,7	3,9	25
	11,8	10,4	8,4	6,8	6,4	4,6	2,9	2,9	2,1	40
	11,3	9,6	7,5	5,2	4,2	3,3	2,6	1,7	1,4	100
<b>რელექტორი 112-250</b>										
600	19,3	17,1	15,2	11,3	9,4	7	5,2	4,3	3,9	25
	14,2	12,5	9,9	7,2	6,4	5,5	3,6	3	2,6	40
	7,9	6,7	5,3	3,6	2,9	2,3	1,8	1,2	2	100
750	23	19,7	16,6	13,5	11,1	9,4	7,6	5,6	4,2	25
	16,6	14,5	12,3	8,3	7,3	6,9	4,5	3,5	3	40
	9,1	8,3	6,6	4,5	3,7	2,9	2,2	1,5	1,2	100
1000	27,1	23,8	20,5	17,3	14,1	11,7	9,2	7,3	6	25
	17,8	15,6	14,1	10,2	8,9	7,6	5	4,2	3,5	40
	12	10	8	6	4,9	3,9	3	2	1,6	100
1500	34	30,2	25,4	23,8	19	16,5	11,9	9,8	3,5	25
	25,1	21,3	18,3	13,7	12	10,1	7,1	5,5	4,7	40
	18,1	15,3	12,1	8,1	7,4	5,8	4,5	3	2,3	100

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
<b>რელექტორი 112-350</b>										
600	45,7	39,6	34	26,8	22,3	16,6	12	10,2	9,4	25
	34	29,4	25,7	17,2	15,2	13	11	7,2	6,3	40
	17,1	16	12,5	8,5	7	5,5	4,3	4,9	2,3	100
750	61	52	43,5	32	26,5	22,4	16,6	13,4	11,1	25
	35,8	31,6	29,2	19,5	17,7	16,6	12,9	8,4	7,3	40
	21,4	18	14,3	10,7	8,7	6,9	5,4	3,6	2,9	100
1000	71,9	61,2	50,8	37,1	33,5	21,7	21,8	17,3	14,5	25
	42,8	39	33	24,1	21,1	18,1	15,6	10,2	9	40
	28,7	23,9	19,2	19,9	11,7	9,2	7,1	4,9	3,9	100
1500	79,5	84,7	70	51,4	43,7	39,5	30,2	24,4	20,4	25
	59	50	43,3	28,6	25,6	24,1	20,2	13,3	11,4	40
	43	36,2	28,7	19,4	15,9	12,6	10,7	7,3	5,9	100
<b>რელექტორი 112-500</b>										
600	137	120	113	82,5	75,2	63,3	42,7	34,5	31,8	25
	102	90,6	77	53,6	51	44,1	28,7	24,1	20,4	40
	57,8	49	38,7	26,3	23,6	19	14,3	10	8	100
750	163	140	112	103	89,2	75,6	52,7	42,2	37	25
	121	106	84,7	61	58,7	51,5	32,8	28,4	23,3	40
	72,5	61,2	48,4	32,9	29,6	23,6	18,2	12,4	10	100
1000	197	178	143	122	104	91,7	68,6	58,5	49	25
	145	132	103,2	74,2	65,4	52,8	40,2	37	28,5	40
	100	82	64	44	36	31,4	24	16,5	13,5	100
1500	248	217	189	174	147	116	83	82,2	68,5	25
	194	169	145	98,7	87,7	74	53,5	44,5	38,3	40
	—	—	—	66	54	43	36,4	25	20,2	100



ნახ. 1.24 ამწის გადასაადგილებელი მექანიზმის კინემატიკური სქემები.  
 1 — ელექტროძრავი; 2 — რელუქტორი

ცხრილი 1.12

კბილების რიცხვი	გადაცემის რიცხვები $\frac{U_{სომ}}{U_{უკ}}$								
	8	10	12,5	16	20	25	31,5	40	50
	8,32	9,8	12,41	16,3	19,88	24,9	32,42	41,34	50,94
$Z_1$	28	25	21	21	18	15	12	12	10
$Z_2$	59	62	66	66	69	72	75	75	77
$Z_3$	20	20	20	16	16	16	16	13	13
$Z_4$	79	79	79	83	83	83	83	86	86

რელექტორის მარკა	$m_1$	$2b_1$	$m_2$	$b_2$
112-200	1,5	46	2,5	63
112-250	2	60	3	75
112-350	3	90	4	100
112-500	4	120	6	150

11. ესაზღვრავთ ღია გადაცემის კბილანა თელეების ძირითად ზომებს. კბილამოდების მოდულს ეანგარიშობთ ფორმულით:

$$m \geq 3 \sqrt{\frac{2N_{\text{საანგ}} \cdot K_{\text{ცვეთა}}}{\psi_m \cdot \gamma \cdot Z \cdot \omega \cdot [\sigma_{\text{ლ}}]}} \text{ მ.}$$

აქ  $N_{\text{საანგ}} = N_{\text{ბრ}} \cdot K_{\text{ღინ}} \cdot K_{\text{კორექ}} = 16 \cdot 1,5 = 24 \text{ კეგ} = 24 \cdot 10^3 \text{ ეგ}$ ; სადაც  $K_{\text{ღინ}} \cdot K_{\text{კონს}} = 1,5$  ( $K_{\text{ღინ}} \cdot K_{\text{კორექ}} = 1,2 \div 1,3$  — კბილანა თელეების საყრდენების მიმართ სიმეტრიულად განლაგების შემთხვევაში და  $K_{\text{ღინ}} \cdot K_{\text{კონს}} = 1,4 \div 1,6$  — არასიმეტრიულად ან კონსოლურად განლაგებისას).

$K_{\text{ცვ}} = 1,4$  (კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს კბილების ცვეთას. ღია გადაცემებისათვის —  $K_{\text{ცვ}} = 1,25 \div 1,8$ ; დახურული გადაცემებისათვის —  $K_{\text{ცვ}} = 1$ ).

$\psi_m = 10$  (კბილის სიგრძის მოდების მოდულთან შეფარდების კოეფიციენტი.  $\psi_m = 8 \div 12$ ).

$\gamma = 0,383$  კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს კბილის განივზომებს და მის ფორმას (მიიღება ცხრილი 1.14 მიხედვით).

$Z = 22$  წამყვანი კბილანის კბილთა რიცხვია.

$\omega$  — წამყვანი ლილვის კუთხური სიჩქარე.

$$\omega = \frac{\pi \cdot n}{30} \text{ წ}^{-1},$$

სადაც

$$n = \frac{n_{\text{ბრ}}}{U_{\text{აქ}}} = \frac{900}{16,3} = 55,21 \text{ წ}^{-1};$$

$$\omega = \frac{\pi \cdot n}{30} = \frac{3,14 \cdot 55,21}{30} = 5,78 \text{ წ}^{-1};$$

$$[\sigma_{\text{ლ}}] = 115 \text{ მპა} = 115 \cdot 10^6 \text{ პასკალი (ფოლადისათვის 40X)}.$$

ამრიგად,

$$m_3 = 3 \sqrt{\frac{2 \cdot 24 \cdot 10^3 \cdot 1,4}{10 \cdot 0,383 \cdot 22 \cdot 5,78 \cdot 115 \cdot 10^6}} = 0,010658 = 10,658 \text{ მ.}$$

CT CЭB 310-76-ის მიხედვით ელემენტის მოდულს  $m_3=11$  მმ.

კბილანა თვლების გამყოფი წრეხაზების დიამეტრებისათვის გვექნება:

$$d_5 = m_3 \cdot Z_5 = 11 \cdot 22 = 242 \text{ მმ}, \quad d_6 = m_3 \cdot Z_6 = 11 \cdot 67 = 740 \text{ მმ}.$$

მგრები მომენტი წამყვან თვლებზე

$$M_{გრ} = \frac{WD}{2} = \frac{22,66 \cdot 10^3 \cdot 0,55}{2} = 6,25 \cdot 10^3 \text{ ნ·მ}.$$

ლილვის დიამეტრი —  $[\tau_{გრ}] = 40 \text{ მპა} = 40 \cdot 10^6 \text{ პასკალის დროს}$

$$d_{ლ} = \sqrt[3]{\frac{M_{გრ}}{0,2[\tau_{გრ}]}} = \sqrt[3]{\frac{6,25 \cdot 10^3}{0,2 \cdot 40 \cdot 10^6}} = \frac{1}{10} \sqrt[3]{0,783} = 0,0886 \text{ მ} = 88,6 \text{ მმ}.$$

ГОСТ 6636-69-ის მიხედვით ელემენტის დ<sub>ლ</sub>=90 მმ.

კოტას დიამეტრი მიიღება შემდეგი დამოკიდებულებიდან

$$d \approx (0,7 \div 0,8) d_{ლ}.$$

$$d \approx 0,75 d_{ლ} = 0,75 \cdot 90 = 68 \text{ მმ}.$$

კოტას დიამეტრის მიხედვით გოსტ-დან შევარჩევთ რადიალურ ბურთულე ბიან ორრიგა საკისარს.

ამწის გადასაადგილებელ მექანიზმებში გამოიყენება ორხუნდიანი ელექტრომაგნიტური მუხრუჭი და მუხრუჭები ელექტრომიდრომბიძგაეებით. სამუხრუჭე სკივალ ჩვეულებრივად გამოიყენება შემაერთებელი ქურო, რომელიც შეირჩევა ელექტროძრავისა და რედუქტორის ლილვების დიამეტრების მიხედვით.

ცხრილი 1.14

ყ კოეფიციენტის მნიშვნელობები ევოლვენტური გარე მოდულისათვის  $\alpha=20^\circ$ -ის დროს

Z	12	14	16	18	20	22	24	26	28	30
y	0,304	0,324	0,339	0,354	0,372	0,383	0,395	0,404	0,411	0,416

Z	35	40	45	50	65	80	100	150	300	ლარცა
y	0,43	0,442	0,451	0,457	0,472	0,478	0,481	0,49	0,496	0,523

### CT CЭB 310-76

1-ლი რიგი — 1; 1,25; 1,5; 2; 2,5; 3; 4; 5; 6; 8; 10; 12; 16; 20; 25; 32; 40.

მე-2 რიგი — 1,125; 1,375; 1,75; 2,25; 2,75; 3,5; 4,5; 5,5; 7; 9; 11; 14; 18; 22; 28; 36.

შენიშვნა. მოდულების სიდიდეების დანიშნისას 1-ლ რიგს უნდა მიენიჭოს უპირატესობა მე-2 რიგთან შედარებით.

Гост6636-69

0,010;	0,011;	0,012;	0,013;	0,014;	0,015;	0,016;	0,017;	0,018;	0,019;	0,020;	0,021;	0,022;	0,024;
0,025;	0,026;	0,028;	0,030;	0,032;	0,034;	0,036;	0,038;	0,040;	0,042;	0,045;	0,048;	0,050;	0,053;
0,056;	0,060;	0,063;	0,067;	0,071;	0,075;	0,080;	0,085;	0,090;	0,095;	0,100;	0,105;	0,110;	0,115;
0,120;	0,130;	0,140;	0,150;	0,160;	0,170;	0,180;	0,190;	0,200;	0,210;	0,220;	0,240;	0,250;	0,260;
0,280;	0,300;	0,320;	0,340;	0,360;	0,380;	0,400;	0,420;	0,450;	0,480;	0,500;	0,530;	0,560;	0,600;
0,630;	0,670;	0,710;	0,750;	0,800;	0,850;	0,900;	0,950;	1;	1,05;	1,1;	1,15;	1,2;	1,3;
1,4;	1,5;	1,6;	1,7;	1,8;	1,9;	2;	2,1;	2,2;	2,4;	2,5;	2,6;	2,8;	3;
3,2;	3,4;	3,6;	3,8;	4;	4,2;	4,5;	4,8;	5;	5,3;	5,6;	6;	6,3;	6,7;
7,1;	7,5;	8;	8,5;	9;	9,5;	10;	10,5;	11;	11,5;	12;	13;	14;	15;
16;	17;	18;	19;	20;	21;	22;	24;	25;	26;	28;	30;	32;	34;
36;	38;	40;	42;	45;	48;	50;	53;	56;	60;	63;	67;	71;	75;
80;	85;	90;	95;	100;	105;	110;	120;	125;	130;	140;	150;	160;	170;
180;	190;	200;	210;	220;	240;	250;	260;	280;	300;	320;	340;	360;	380;
400;	420;	450;	480;	500;	530;	560;	600;	630;	670;	710;	750;	800;	850;
900;	950;	1000;	1060;	1120;	1180;	1250;	1320;	1400;	1500;	1600;	1700;	1800;	1900;
2000;	2120;	2240;	2360;	2500.									

## სატრანსპორტო საშუალებები

### 1. თვითსაცლელი ავტომობილი

თვითსაცლელი ავტომობილები მზადდება საერთო დანიშნულების ავტომობილების ბაზაზე ან საეკილიმბებული კონსტრუქციის სახით, მძიმე კარიერულ პირობებში სამუშაოდ. ისინი გამოიყენება სამშენებლო მასალების (ქვის, ღორღის, ქვიშის, გრუნტის, ბეტონის და სხვ.) გადასაზიდევად და ჩამოყრით განსატვირთავად.

თვითსაცლელი ავტომობილები აღჭურვილია სწორკუთხა, ვარცლისებრი ან ნახევაროვალური განივკვეთის, თვითსაცლელი ძარათი, აგრეთვე ვარცლისებრი ან ჩამჩის ფორმის, რომელიც გრძივი მიმართულებით ცვლადი კვეთისაა. კაბინის დასაცავად ძარას წინა ნაწილში აქვს საჩეხი. ძარას განტვირთვა უმეგეს შემთხვევაში ხდება უკან. არსებობს კონსტრუქციები, რომლებიც უზრუნველყოფს ძარას განტვირთვას სამი მხრიდან. ძარა შეიძლება გათბეს გამონაბოლქვი აირებით. აირის გატარება ხდება სიხისტის კოლოფებში.

გადაყირაუების შექანბმში მოიცავს ჰიდრავლიკურ ტუმბოს, რომელიც მოქმედებაში მოდის ჩვეულებრივ სიმძლავრის შესარჩევი კოლოფიდან, ტელესკოპურ ჰიდროცილინდრს (ერთი ან ორი), ავზს, მილგაყენილობას და მაღალი წნევის სახელოებს. ცალკეულ შემთხვევებში ჰიდროცილინდრები ძარაზე მოქმედებენ ბერკეტული სისტემის საშუალებით. ჰიდროცილინდრები განლაგებულია ძარის ქვეშ.

მაქსიმალური ქანობი, რომელიც შეიძლება დაძლიოს თვითსაცლელმა ავტომობილმა არის 14-26°-მდე. ავტომობილის წინა და უკანა განაკიდის კუთხე უმეგეს შემთხვევებში შეაღვეს 30-62°, დამუხრუჭების მანიპილი 30 კმ/სთ სიჩქარის დროს — 8-11მ. ძარის აწევის ხანგრძლივობა — 15-40წ, დაშვების — 20-40წ.

თვითსაცლელი ავტომობილების გვირთამწეობა ცვალებადობს 2250-75000 კგ-მდე, ძარის მოცულობა 1,65-49,7 მ<sup>3</sup>-მდე. მაქსიმალური სიჩქარე 30-80 კმ/სთ, მასა აღჭურვილ მღვომარეობაში (გვირთის გარეშე) 3000-52800 კგ.


#### სამუშაო № 6

შეასრულეთ საავტომობილო ტრანსპორტის წევის ანგარიში, განსაზღვრეთ ავტომობილის ცელური საექსპლუატაციო მწარმოებლურობა და ცელური გარბენის მნიშვნელობა (ნახ. 2.1).

#### მეთოდური მითითებები

დამყარებული სიჩქარით მოძრაობის პირობიდან გამომდინარე ვამოწმებთ გზის მოცემულ უბნებს ჩაჭილების მიხედვით ფორმულით:

$$\Phi_{\text{გზა}} \geq G(\omega + i) \text{ ლენ(კგმ)},$$



ნახ. 2.1 გეგმაში გრასის სქემის ეარიანგები

სადაც  $\phi$  არის საბურავის გზის საფართან ჩაჭიდების კოეფიციენტი (ცხრილი 2.1);  
 $G_{ავ}$  — ავტოთვითმცლელის ჩაჭიდების წონა დენ(კგ) (ცხრილი 2.2);  
 $G$  — დატვირთული ავტოთვითმცლელის მთლიანი წონა დენ(კგ) (ცხრილი 2.2);  
 $\omega$  — ჰორიზონტალურ გზაზე ავტომანქანის მოძრაობის ძირითადი კუთრი წინააღმდეგობა (ცხრილი 2.1);  
 $i$  — უბნის მოცემული ქანობი.

დატვირთული ავტოთვითმცლელის მოძრაობის სიჩქარეს გრასის თვითეულ უბანზე უსაზღვრავთ მისი დინამიკური მახასიათებლის  $D=f(v)$  მიხედვით. დინამიკური ფაქტორი თანაბარი სიჩქარით მოძრაობის დროს რიცხვობრივად გოლია —  $D = \frac{F}{G} = \omega \pm i$ . აქ  $F$  არის ავტოთვითმცლელის წაშყევან თვლებზე მოდუ-

ცხრილი 2.1

ჰორიზონტალურ გზაზე ავტომანქანის მოძრაობის ძირითადი კუთრი წინააღმდეგობა  $\omega$  და გენიან გზაზე საბურავის ჩაჭიდების კოეფიციენტი  $\phi$  [2]

გზა	$\omega$	$\phi$
სასანგრეო	0,04 — 0,05	0,2
ლორღის	0,02 — 0,03	0,3
ნაყარის	0,06 — 0,07	0,2



ზოგიერთი თვითმცლელის გეჟნიკური მახასიათებლები [3]

მაჩვენებლები	მარკა		
	МА3-503Б	КрА3-256Б	БелА3-540А
გვირთამწეობა $Q$ , ტ.ძ.	7	11	27
ძარის გვეადობა $V$ , მ <sup>3</sup>	3,8	6,0	15,3
აღჭურვილი თვითმცლელის წონა (უტვირთვით) $G_{ლაფ}$ , ლენ(კგძ)	6750	11400	20925
ავტოთვითმცლელის ჩაჭიდების წონა $G_{ჩაჭ}$ , ლენ(კგძ)	10000	19000	32400
განგვირთვის ხანგრძლივობა მანევრირებით $t_{განგ}$ , წ	80	100	120

ბული გამწევი ძალა  $F = G(\omega \pm i)$  ((+) მიიღება აღმართზე მოძრაობის შემთხვევაში, ხოლო (-) დაღმართზე მოძრაობისას). ზოგიერთი ავტოთვითმცლელის დინამიკური მახასიათებლები მოცემულია 2.2 ნახაზზე. წყვეტილი ხაზით ნაჩვენებია სიჩქარის განსაზღვრის მაგალითი, როდესაც დინამიკური ფაქტორი  $\omega + i = 0,075$ . დაუგვირთავი (ყარიელი) ავტოთვითმცლელის მოძრაობის სიჩქარე, როდესაც  $\omega - i > 0$  განისაზღვრება ყარიელი ავტოთვითმცლელის დინამიკური ფაქტორით სკალით  $D_0$  (ნახ. 2.2), რომლის მასშტაბიც იცვლება თანაფარდობით  $G_0:G$ , სადაც  $G_0$  არის ყარიელი (დაუგვირთავი) ავტოთვითმცლელის წონა. როდესაც  $\omega - i < 0$ , ყარიელი ავტოთვითმცლელის სიჩქარეს ვანგარიშობთ ფორმულით [1]




$$v_{არ} = \sqrt{130S_{სააფხ}(\varphi - i + \omega)} \text{ კმ/სთ,}$$

სადაც  $S_{სააფხ}$  დასაშვები სამუხრუჭე მანძილია და სამშენებლო მოედნის პირობებისათვის შეიძლება მივიღოთ  $S_{სააფხ} \approx 5$  მ.

დაგვირთული და დაუგვირთავი ავტოთვითმცლელის მოძრაობის ხანგრძლივობა გრასის თითოეულ უბანზე განისაზღვრება ფორმულით:

$$t_i = \frac{3,6l_i}{0,9v_i} + \frac{3,6l_i}{0,9v_{არ}} \text{ წ,}$$

სადაც  $v_i$  არის დაგვირთული ავტოთვითმცლელის მოძრაობის სიჩქარე კმ/სთ, გრასის  $l_i$  — უბანზე, განსაზღვრული დინამიკური მახასიათებლის მიხედვით;



ნახ. 2.2 აქტოთომცელის დინამიკური მახასიათებლები:  
 ა — МА3-503Е; ბ — КРА3-256Е; გ — БелА3-540А.

$\rho_i^{\text{არ}}$  — იგივე ცარიელი (დაუგვირთავე) ავტოთვითმცლელისათვის;  
 $l_i$  — გრასის  $i$  — უბნის სიგრძე, მ-ში;  
 3,6 — კოეფიციენტი სიჩქარის გადასაყენად კმ/სთ-დან მ/წ-ში;  
 0,9 — კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დროის დანახარჯებს მოძრაობის აჩქარებაზე და შენელებაზე.

ავტოთვითმცლელის დატვირთვის ხანგრძლივობა

$$t_{\text{ჩატვ}} = t_{\text{ციკ}} \cdot n \quad \text{წ.}$$

სადაც  $t_{\text{ციკ}}$  არის ექსკავატორის სამუშაო ციკლის ხანგრძლივობა (ცხრ. 2.3);  
 $n$  — ჩამჩა მიწის რაოდენობა, რომელიც ეტევა ავტოთვითმცლელის

$$\text{ძარაში } n = \frac{V \cdot K_{\text{გაუხ}}}{V_{\text{ექსკ}} \cdot K_{\text{აეს}}}$$

აქ  $V$  — არის ავტოთვითმცლელის ძარის ტევადობა, მ<sup>3</sup>-ში;  
 $V_{\text{ექსკ}}$  — ექსკავატორის ჩამჩის ტევადობა, მ<sup>3</sup>-ში;  
 $K_{\text{აეს}}$  — ჩამჩის გრუნგით ავსების კოეფიციენტი (ცხრ. 2.4);  
 $K_{\text{გაუხ}}$  — გრუნტის გაფხვიერების კოეფიციენტი (ცხრ. 2.4).

ავტოთვითმცლელის რეისის მთლიანი ხანგრძლივობა

$$t_{\text{რეის}} = \sum l_i + t_{\text{ჩატვ}} + t_{\text{განგ}} \quad \text{წ.}$$

სადაც  $\sum l_i$  არის გრასის თითოეულ უბანზე დატვირთული და ცარიელი ავტოთვითმცლელის მოძრაობის ხანგრძლივობათა ჯამი;

$t_{\text{განგ}}$  — ავტოთვითმცლელის განტვირთვის ხანგრძლივობა მანევრირებით, წ (ცხრ. 2.2).

ავტოთვითმცლელის ცელური საექსპლუატაციო მწარმოებლურობა

$$n_{\text{ცელ}} = \frac{3600 \cdot T \cdot K_{\text{დრ}} \cdot Q}{t_{\text{რეის}}} \quad \text{ტ/ცელ.}$$

სადაც  $T$  არის ცელის ხანგრძლივობა სთ-ში ( $T=8$ სთ);

$K_{\text{დრ}}$  — ცელის ხანგრძლივობის გამოყენების კოეფიციენტი (მიიღება  $K_{\text{დრ}}=0,85-0,9$ );

$Q$  — ავტოთვითმცლელის გვირთამწეობა, ტ-ში (ცხრ. 2.2).

ავტოთვითმცლელის ცელური გარბენის სიდიდე

$$L_{\text{ცელ}} = \frac{3600 \cdot T \cdot K_{\text{დრ}} \cdot 2 \cdot \sum l_i}{1000 \cdot t_{\text{რეის}}} \quad \text{კმ.}$$

**მაგალითი.** შევასრულოთ მე-6 სამუშაო შემდეგი მონაცემების მიხედვით:

ავტოთვითმცლელის მოძრაობის გრასის სქემა — ვარიანტი I (ნახ. 2.3).

$l_1=400$ მ;  $l_2=2500$ მ;  $l_3=300$ მ. შესაბამისად გრასის უბნების ქანობებია:  $i_1=0,03$ ;

$i_2=0,08$ ;  $i_3=0,035$ . ავტოთვითმცლელის მარკა КрА3-256Б. გვირთამწეობა —

## ზოგიერთი ექსკავატორის ტექნიკური მახასიათებლები [3]

მაჩვენებლები	პირდაპირნიშხანი ექსკავატორები			სუნიშხანი ექსკავატორები		ექსკავატორი დრაგლაინი			
	3-652B 3-652BC	3-10011D 30-5111AC	3-2503 3-2505CA-1	3-652B 3-652BC	30-5122	3-652B 3-652BC	3-10011D 30-5111AC	3-1251B 3-1252B	3-2505
ექსკავატორის ჩაშჩის ტევადობა V, მ <sup>3</sup>	0,65	1,0	2,5	0,65	1,6	0,8	1,0	1,5	3,0
ექსკავატორის სამუშაო ციკლის ხანგრძლივობა t <sub>ციკ</sub> , წ	15	17	22	20	24	22	23	23	32

ჩამჩის ავსებისა და გრუნტის გაფხვიურების კოეფიციენტები [3]

კოეფიციენტი	გრუნტის ჯგუფები			
	I ქვიშოვანი	II თიხნარი	III თიხოვანი	IV მძიმე თიხები, მერგელო
$K_{ავს}$	1,02-1,15	1,12-1,32	1,18-1,35	1,25-1,40
$K_{გაფხ}$	1,1-1,28	1,1-1,3	1,14-1,32	1,2-1,45

შენიშვნა. ჩამჩის ავსების კოეფიციენტის მცირე მნიშვნელობები შეესაბამება მშრალ გრუნტებს, დიდი — ტენიან გრუნტებს.

$Q=11000$  დკნ(კგძ). ძარის ტევალობა —  $V=6მ^3$ . დაუგვირთავე ავტოთვითმცლელის წონა  $G_{ლაუბ}=11400$  დკნ(კგძ). ავტოთვითმცლელის ჩაჭიდების წონა —  $G_{ჩაჭ}=19000$  დკნ(კგძ). ავტოთვითმცლელის განტვირთვის ხანგრძლივობა მანევრირებით —  $t_{განტ}=100წ$ .  $K_{ლრ}=0,9$ . ავტოთვითმცლელთან კომპლექტში მომუშავე პირდაპირნიჩბიანი ექსკავატორის  $\mathcal{D}-10011D$  ჩამჩის ტევალობა  $V_{ექსკ}=1მ^3$ .  $K_{ავს}=1,15$ . პირდაპირნიჩბიანი ექსკავატორის ციკლის ხანგრძლივობა —  $t_{ციკ}=17წ$ . გაღასაზიდი გრუნტის ჯგუფი I, ქვიშოვანი გრუნტი ტენიანი,  $K_{გაფხ}=1,1$ .


ამოხსნა:

1. ეამოწმებთ გმის მოცემულ უბნებს ჩაჭიდების მიხედვით:

$$F_{ჩაჭ} \geq G(\alpha_1 + \beta);$$

$$0,2 \cdot 19000 \geq (Q + G_{ლაუბ})(0,04 + 0,03);$$

$$3800 \geq (11000 + 11400) \cdot 0,07 = 1570.$$



ნახ. 2.3 ავტოთვითმცლელის მოძრაობის გრასის სქემა

$$\varphi_2 \cdot 19000 \geq 22400(\omega_2 + i_2);$$

$$0,3 \cdot 19000 \geq 22400(0,02 + 0,08);$$

$$5700 \geq 22400 \cdot 0,1 = 2240.$$

$$\varphi_3 \cdot 19000 \geq 22400(\omega_3 + i_3);$$

$$0,2 \cdot 19000 \geq 22400(0,06 + 0,035);$$

$$3800 \geq 22400 \cdot 0,095 = 2130.$$

2. უსაზღვრავთ დატვირთული ავტოთვითმცლელის მოძრაობის სიჩქარეს გრასის თითოეულ უბანზე, მისი ღინამიკური მახასიათებლის მიხედვით (ნახ. 2.2):

$$\omega_1 + i_1 = 0,04 + 0,03 = 0,07; \quad v_1 = 19 \text{ კმ/სთ} \quad (\text{III გადაცემა});$$

$$\omega_2 + i_2 = 0,02 + 0,08 = 0,1; \quad v_2 = 15 \text{ კმ/სთ} \quad (\text{III გადაცემა});$$

$$\omega_3 + i_3 = 0,06 + 0,035 = 0,095; \quad v_3 = 17 \text{ კმ/სთ} \quad (\text{III გადაცემა}).$$

3. ცარიელი (დაუტვირთავი) ავტოთვითმცლელის მოძრაობის სიჩქარე გრასის თითოეულ უბანზე განისაზღვრება ცარიელი ავტოთვითმცლელის ღინამიკური ფაქტორით (სკალა  $D_0$  ნახ. 2.2):

$$\omega_1 + i_1 = 0,04 - 0,03 = 0,01 > 0; \quad v_1^{\text{პარ}} = 45 \text{ კმ/სთ} \quad (\text{V გადაცემა});$$

$$\begin{aligned} \omega_2 + i_2 = 0,02 - 0,08 = -0,06 < 0; \quad v_2^{\text{პარ}} &= \sqrt{130 \cdot S_{\text{საპუხ}} (\varphi_2 - i_2 + \omega_2)} = \\ &= \sqrt{130 \cdot 5(0,3 - 0,08 + 0,02)} = 12,5 \text{ კმ/სთ}; \end{aligned}$$

(III გადაცემა);

$$\omega_3 + i_3 = 0,06 - 0,035 = 0,025 > 0; \quad v_3^{\text{პარ}} = 45 \text{ კმ/სთ} \quad (\text{V გადაცემა}).$$

4. უსაზღვრავთ დატვირთული და დაუტვირთავი ავტოთვითმცლელის მოძრაობის ხანგრძლივობას გრასის თითოეულ უბანზე:

$$t_1 = \frac{3,6l_1}{0,9 \cdot v_1} + \frac{3,6 \cdot l_1}{0,9 \cdot v_1^{\text{პარ}}} = \frac{3,6 \cdot 400}{0,9 \cdot 19} + \frac{3,6 \cdot 400}{0,9 \cdot 45} = 84,5 + 35,6 = 120,1 \text{ წ;}$$

$$t_2 = \frac{3,6l_2}{0,9 \cdot v_2} + \frac{3,6 \cdot l_2}{0,9 \cdot v_2^{\text{პარ}}} = \frac{3,6 \cdot 2500}{0,9 \cdot 15} + \frac{3,6 \cdot 2500}{0,9 \cdot 12,5} = 665 + 800 = 1465 \text{ წ;}$$

$$t_3 = \frac{3,6l_3}{0,9 \cdot v_3} + \frac{3,6 \cdot l_3}{0,9 \cdot v_3^{\text{პარ}}} = \frac{3,6 \cdot 300}{0,9 \cdot 17} + \frac{3,6 \cdot 300}{0,9 \cdot 45} = 70,5 + 26,6 = 97,1 \text{ წ.}$$

5. ეანგარიშობთ ჩამჩა მიწის რაოდენობას, რომელიც ეტევა ავტოთვითმცლელის ძარაში

$$n = \frac{V \cdot K_{\text{გაფხ}}}{V_{\text{ექსკ}} \cdot K_{\text{ავს}}} = \frac{6 \cdot 1,1}{1 \cdot 1,15} = 5,75 \approx 6$$

6. აეგოთეითმცელელის დატვირთვის ხანგრძლივობა

$$t_{\text{ჩატე}} = t_{\text{ციკ}} \cdot n = 17 \cdot 6 = 102 \text{ წ.}$$

7. ესამღვრავთ აეგოთეითმცელელის რეისის მთლიან ხანგრძლივობას

$$t_{\text{რეის}} = t_1 + t_2 + t_3 + t_{\text{ჩატე}} + t_{\text{განტ}} = 120,1 + 1465 + 97,1 + 102 + 100 = 1889 \text{ წ.}$$

8. აეგოთეითმცელელის ცელური საექსტკლუგატაციო მწარმოებლურობა

$$\Pi_{\text{ცელ}} = \frac{3600 \cdot T \cdot K_{\text{ლრ}} \cdot Q}{t_{\text{რეის}}} = \frac{3600 \cdot 8 \cdot 0,9 \cdot 11}{1889} = 151 \text{ ტ/ცელ.}$$

9. აეგოთეითმცელელის ცელური გარბენის სიდიდე

$$L_{\text{ცელ}} = \frac{3600 \cdot T \cdot K_{\text{ლრ}} \cdot 2 \cdot (t_1 + t_2 + t_3)}{1000 \cdot t_{\text{რეის}}} =$$

$$= \frac{3600 \cdot 8 \cdot 0,9 \cdot 2(400 + 2500 + 300)}{1000 \cdot 1889} = 87,5 \text{ კმ.}$$

## 2. ტრაქტორები და სატრაქტორო მატარებლები

მუხლუხა და თელეებიანი ტრაქტორები გამოიყენება მშენებლობაში საგრანსპორტო გადაზიდვებისათვის მათი ტრაილერებთან, მიწასაზიდ და სხვა ურიკებთან დააგრეგატების გზით ან როგორც საბუქსირო საშუალებები.

სატრანსპორტო გადაზიდვისას სიჩქარისა და მობილურობის თელასაზრისით თელეებიან ტრაქტორს უპირატესობა აქვს მუხლუხა ტრაქტორთან შედარებით. მისი ეფექტურად გამოყენება შესაძლებელია მაგარი საფარის მქონე გზებზე. შემღულულ პირობებში, მოუმზადებელ, ღროებით გზებზე ხელსაყრელია მუხლუხა ტრაქტორების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ 1,5-ჯერ უკეთეს შეჭილულობას გრუნტთან და აქეთ უკეთესი გამავლობა, ეიღრე თელეებიან ტრაქტორს.

მუხლუხა ტრაქტორების საგრანსპორტო სიჩქარე ჩვეულებრივ არ აღემატება 12 კმ/სთ, თელეებიანი ტრაქტორებისა აღწევს 40 კმ/სთ და მეტს. მუხლუხას ხედრითი წნევა გრუნტზე, როგორც წესი, არ აღემატება 1,0 კგ/სმ<sup>2</sup>. თელეებიანი ტრაქტორების საბურავებში წნევა შეადგენს 2,5 — 3,5 კგ/სმ<sup>2</sup> (ასეთივე წნევას ავითარებს დაახლოებით საბურავი გრუნტზე). მუხლუხა ტრაქტორები ავითარებენ დაახლოებით ტრაქტორის მასის გოლ წვეის ძალას, ხოლო თელეებიანი ტრაქტორები მასის ნახევრის გოლ წვეის ძალას.

მრეწველობა აწარმოებს შემღლეი წვეის კლასების მუხლუხა და თელეებიან ტრაქტორებს 0,2; 0,6; 0,9; 1,4; 2,0; 3,0; 4,0; 5,0; 6(10); 9(15); 15(25) და 25(35) ტ. ფრჩხილებს გარეშე მოყვანილი სიდიდეები შეესაბამება წვეის კლასებს სა-

სოფლო-სამეურნეო კლასიფიკაციით, ხოლო ფრჩხილებში — სამრეწველო კლასიფიკაციით. წევის კლასი ახასიათებს მაქსიმალურ წევის ძალას გადაცემაზე, სიჩქარით 2,5 — 3,0 კმ/სთ, მუხლუსა გრაქტორებისათვის და 3,0-3,5 კმ/სთ თელებიანი გრაქტორებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს გრაქტორის ეფექტურ მუშაობას მიწასათხრელ მოწყობილობასთან (სკრეპერთან, გრეიდერთან და სსხვ.).

დანიშნულების მიხედვით მუხლუსა და თელებიანი გრაქტორები იყოფა სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სპეციალური დანიშნულების მანქანებად (წყლისქვეშა, მიწისქვეშა, სამთო და სხვა სპეციალური სამუშაოებისათვის).

სამრეწველო გრაქტორები თავის მხრივ იყოფა: საერთო დანიშნულების, სამელიორაციო, საკარიერო, მცირეგაბარიტიანი და სპეციალური — მანქანების ცალკეულ ტიპებთან სამუშაოდ (სამშენებლო საგეირთეელი, მიღამწყობი და სსხვ.).

კონსტრუქციული ნიშნების მიხედვით მუხლუსა გრაქტორები იყოფა: ძრავის ტიპის (დიზელი, კარბიურატორული, აირული), გრანსმისის (მექანიკური, ჰიდრომექანიკური და ელექტრომექანიკური), მუსლუხის საკიდარის (ნახეურად ხისტი, ბალანსირული ურიკებით, ელასტიკური) და საერთო კომპონირების მიხედვით (კაბინის წინა, უკანა და შუა განლაგებით და შესაბამისად ძრავის უკან, წინ და შუა განლაგებით). ყველაზე მეტად გავრცელებულია მუხლუსა გრაქტორები — დიზელით, ნახეურად ხისტი და ბალანსირული ურიკებით და კაბინის უკან განლაგებით.

თელებიანი გრაქტორები იყოფა: ძრავის ტიპის (დიზელი და კარბიურატორული), მობრუნების სისტემის (წინა მართული თელეებით, ყველა მართული თელეებითა და სახსროვან-შენაწერებელი ჩარჩოთი), საერთო გაერთმლანების (ძრავის წინ და კაბინის უკან განლაგებით, ძრავის უკან და კაბინის წინ განლაგებით) და გრანსმისის მიხედვით (მექანიკური და ჰიდრომექანიკური). უფრო გავრცელებულია თელებიანი გრაქტორი დიზელით, ძრავის წინ და კაბინის უკან განლაგებით, წინა მართული თელეებითა და მექანიკური გრანსმისით.

საგრანსპორტო გადაზიდვებისთვის მშენებლობაში ძირითადად გამოიყენება საერთო დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გრაქტორები.

**საგრაქტორო მატარებელი** შედგება გრაქტორისა და მისაბმელებისაგან. მისაბმელი შეიძლება იყოს ერთ, ორ და სამ ღერძა. გამოიყენება აგრეთვე ნახევარმისაბმელი საშუალებებიც. მისაბმელი მიწასაბმელი ურიკების დანიშნულებაა ფხვიერი და წვრილნაგები სამშენებლო მასალების — სილის, ქვიშის, გრუნტისა და სხვ. გარის გარეშე გრანსპორტირება საბაზო მანქანის საშუალებით. გადაზიდვის ოპტიმალური მანძილი მიწასაბმელი ურიკებით სარგებლობისათვის შეადგენს 0,5 — 1,0 კმ.

#### სამუშაო № 7

შეასრულეთ საგრაქტორო გრანსპორტის წევის ანგარიში მშენებლობის პირობებში (რამდენად მიზანშეწონილია მოცემული გრაქტორის გამოყენება) და განსაზღვრეთ საგრაქტორო-მატარებლის ცვლური საექსპლუატაციო მწარმოებლურობა (ნახ. 2.4).



## მეთოდური მითითებები

გრაქტორის შესაძლო წვეის ძალას ჩაჭილების პირობებიდან გამომდინარე გზის ყველაზე რთული უზნისათვის ესაზღვრათ ფორმულით:

$$F_{ჩაკ} = G \cdot \varphi \text{ ღენ(კემ),}$$

სადაც  $G$  არის გრაქტორის წონა, ღენ(კემ) (ცხრილი 2.5);

$\varphi$  — მუხლუხას გმასთან ჩაჭილების კოეფიციენტი (ცხრილი 2.6);

იმის განსასაზღვრავად, თუ რომელ გადაცემაზე შეუძლია გრაქტორის განა-  
ვითაროს უდიდესი წვეის ძალეა ჩაჭილების პირობებისაგან დამოკიდებულებით,  
ვამოწმებთ შემდეგი პირობიდან:

$$F_{კაკ} \leq F_{ჩაკ} - G \cdot \alpha_{გრ} \text{ ღენ(კემ),}$$

სადაც  $F_{კაკ}$  არის წვეის ძალეა გრაქტორის კაკემე შესაბამისი გადაცემის  
ღროს, ღენ(კემ) (ცხრილი 2.5);

$\alpha_{გრ}$  — გრაქტორის მოძრაობის ძირითადი კუთრი წინააღმდეგობა  
(ცხრილი 2.6).

გრაქტორის მისაბმელში გვირთის წონას გამოვიეთელით ფორმულით:

$$Q = \frac{\gamma \cdot V \cdot g}{10} \text{ ღენ(კემ).}$$

აქ  $\gamma$  არის ნაყარი სიმკვრივე, კგ/მ<sup>3</sup>;

$V$  — მისაბმელის ძარის გეეალობა, მ<sup>3</sup> (ცხრილი 2.7);

$g=9,81 \text{ მ/წ}^2$  — სიმძიმის ძალის აჩქარება.

გზის ყველაზე რთული უზნისაგან დამოკიდებულებით მისაბმელების რაო-  
ღენობას გამოვიეთელით ფორმულით:

$$n = \frac{F_{კაკ} - G \cdot i}{(Q + G_{მისაბ})(\omega + i)},$$

სადაც  $G_{მისაბ}$  არის მისაბმელის წონა უგვირთოდ, ღენ(კემ) (ცხრ. 2.7);

$\omega$  — პორიზონტალურ გზაზე მისაბმელის მოძრაობის ძირითადი კუთ-  
რი წინააღმდეგობა (ცხრილი 2.6);

$i$  — გზის ქანობი.

იმის დასადგენად თუ გრასის სხეადასხვა უბანზე რომელ გადაცემებზე იმოძ-  
რეებს საგრატორო მატარებელი და რა შესაძლო მაქსიმალურ სიჩქარეებს  
განაეითარებს ის, საჭიროა შემოწმდეს საგრატორო მატარებლის მოძრაობის  
შემდეგი პირობა:

$$F_{კაკ} \geq n(Q + G_{მისაბ})(\omega + i) + G \cdot i \text{ ღენ(კემ).}$$


მატარებლის მოძრაობის ხანგრძლიეობა გრასის ცალკეულ უბნებზე  $t_{ბ}$  გვირ-  
თით ღა  $t_{სარ}$  უგვირთოდ განისაზღვრება ფორმულით:

$$t_{ბ} = \frac{3,6v_i}{0,8v_j} \text{ წ;}$$

ზოგიერთი მუხლზე გრაქტორის ტექნიკური მახასიათებლები [3]

მარკა	წონა დენ (კგ)	პარამეტრები	გ ა ლ ა ი ე მ ე ბ ი								
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX
T — 100M (ძრავის სიმძლავრე N=74კვტ)	11870	მოძრაობის სიჩქარე v, კმ/სთ წინ	2,36	3,78	4,51	6,45	10,15	—	—	—	—
		კაეზე წვეის ძალეა F <sub>კაე</sub> დენ(კვტ)	8331	5201	4359	3048	1937	—	—	—	—
T-130 (ძრავის სიმძლავრე N=118კვტ)	13734	მოძრაობის სიჩქარე v, კმ/სთ წინ	3,7	4,4	5,13	6,1	7,44	8,87	10,27	12,2	—
		კაეზე წვეის ძალეა F <sub>კაე</sub> დენ(კვტ)	8473	7125	6111	5139	4214	3534	3053	2570	—
T-140 (ძრავის სიმძლავრე N=125კვტ)	14077	მოძრაობის სიჩქარე v, კმ/სთ წინ	2,38	4,21	5,8	7,87	10,9	—	—	—	—
		კაეზე წვეის ძალეა F <sub>კაე</sub> დენ(კვტ)	13954	7888	5726	4220	3047	—	—	—	—
T-180 (ძრავის სიმძლავრე N=130კვტ)	14077	მოძრაობის სიჩქარე v, კმ/სთ წინ	2,86	5,06	6,9	9,46	13,09	—	—	—	—
		კაეზე წვეის ძალეა F <sub>კაე</sub> დენ(კვტ)	12076	6826	5006	3651	2639	—	—	—	—
D3T-250 (ძრავის სიმძლავრე N=220კვტ)	24525	მოძრაობის სიჩქარე v, კმ/სთ წინ	3,5	24,5	—	—	—	—	—	—	—
		კაეზე წვეის ძალეა F <sub>კაე</sub> დენ(კვტ)	16700	2386	—	—	—	—	—	—	—
T-220 (ძრავის სიმძლავრე N=160კვტ)	16677	მოძრაობის სიჩქარე v, კმ/სთ წინ	2,25	9	14,6	—	—	—	—	—	—
		კაეზე წვეის ძალეა F <sub>კაე</sub> დენ(კვტ)	18892	4723	2912	—	—	—	—	—	—
T-330 (ძრავის სიმძლავრე N=240კვტ)	24525	მოძრაობის სიჩქარე v, კმ/სთ წინ	2,5	6,8	16,4	—	—	—	—	—	—
		კაეზე წვეის ძალეა F <sub>კაე</sub> დენ(კვტ)	25504	9377	3888	—	—	—	—	—	—
T-500 (ძრავის სიმძლავრე N=370კვტ)	34335	მოძრაობის სიჩქარე v, კმ/სთ წინ	2,4	6	16,2	—	—	—	—	—	—
		კაეზე წვეის ძალეა F <sub>კაე</sub> დენ(კვტ)	40958	16383	6068	—	—	—	—	—	—
D-74 (ძრავის სიმძლავრე N=56კვტ)	5464	მოძრაობის სიჩქარე v, კმ/სთ წინ	2,44	3,44	4,5	6,5	8,5	10,0	10,5	11,2	12
		კაეზე წვეის ძალეა F <sub>კაე</sub> დენ(კვტ)	6264	4443	3397	2352	1798	1529	1456	1364	1274

შენიშვნა: გრაქტორის კაეზე წვეის ძალეა განსაზღვრულია ფორმულით  $F_{კაე} = 0,9 \times 1000 \times N_{გრ} \times \eta_{კაე} \times 3,6 / v$ , სადა  $N_{გრ}$  — გრაქტორის ძრავის სიმძლავრეა, კვტ;  $\eta_{კაე} = 0,80 - 0,85$  მქ ძრავის ლილეიდან ამძრავ ლილეამდე;  $v$  — გრაქტორის მოძრაობის სიჩქარე, კმ/სთ; 3,6 — კმ/სთ-ის მ/წ-ში გადასაყვანი კოეფიციენტი.



ნახ. 2.4 ტრასის სქემის ვარიანტები (გეგმაში)

ცხრილი 2.6

ძირითადი კუთრი წინააღმდეგობა პოროზონტალურ გზაზე მოძრაობისას და  $\alpha$  (პნევმოსაბურავებისათვის) და  $\alpha_{გრ}$  (მუხლუხა სელის დროს) და მუხლუხა სელის ჩაჭილების კოეფიციენტები  $\varphi$  [3]

გზის სახე	$\alpha$	$\alpha_{გრ}$	$\varphi$
დაუტაკუნავე ქვიშოვანი:			
ტენიანი	0,16	0,10	0,50
მშრალი	0,20	0,15	0,40
დატაკუნილი მშრალი:			
თიხოვანი	0,03	0,05	1,0
ქვიშოვანი	0,04	0,06	1,1
შაფიწოვანი	0,05	0,07	0,9
დატაკუნილი თოვლის	0,03	0,06	0,6
ასფალტის	0,02	0,06	0,35
კორღოვანი ტენიანი	0,08	0,08	1,2

ცხრილი 2.7

ზოგიერთი პნევმოსაბურავებიანი მისაბმელის ტექნიკური მახასიათებლები [3]

მარკა	ძარას გეუ- ლობა $V$ , ეკ	ძარას გეუ- ლობა „ქუ- ლით“ $V$ , ეკ	დატვირთაე მისაბმელის წონა $G_{მისაბ}$ დკნ(კგძ)	ტვირთის ჩატვირთვის დრო, ჩაგე წ	ტვირთის განტვირთვის დრო $t_{განგ}$ წ
D-179-A	9	12	5199	140	50
D-258	12	15	11134	180	40
D-401A	13,5	17	10751	200	30

$$r_{\text{სარ}} = \frac{3,6 \sum_{i=1}^n l_i}{0,8 \cdot v_{IV}} \text{ წ,}$$

სადაც  $v_i$  არის დატვირთული მატარებლის მოძრაობის სიჩქარე (კმ/სთ) გრასის  $l_i$  უბანზე, მ, განსაზღვრული 2.5 ცხრილით;  
 3,6 — კოეფიციენტი, სიჩქარის გადასაყვანად კმ/სთ-დან მ/წ-ში;  
 0,8 — კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დროის დანახარჯებს აჩქარება-შენელებებზე, სიჩქარეების გადართობაზე;  
 $v_{IV}$  — დაუტვირთავი მატარებლის მოძრაობის სიჩქარე კმ/სთ (იგულისხმება, რომ დაუტვირთავი მატარებელი პრაქტიკულად მოძრაობს IV გადაცემაზე).

სატრაქტორო მატარებლის რეისის ხანგრძლივობა

$$t_{\text{რეისის}} = \sum_{i=1}^n t_{\text{ჩმ}} + r_{\text{სარ}} + n(l_{\text{დაგე}} + l_{\text{განგ}}) \text{ წ.}$$

აქ  $l_{\text{დაგე}}$  არის ერთ მისაბმელში გვირთის ჩატვირთვის დრო, წ.;

$l_{\text{განგ}}$  — ერთი მისაბმელიდან გვირთის განტვირთვის დრო, წ.

სატრაქტორო მატარებლის საექსპლუატაციო ცელური მწარმოებლურობა

$$\Pi_{\text{ცელ}} = \frac{3,6 \cdot T \cdot K_{\text{დრ}} \cdot Q \cdot n}{t_{\text{რეისის}} \cdot G} \text{ ც/ცელაში,}$$

სადაც  $T$  არის ცელის ხანგრძლივობა საათებში;


$K_{\text{დრ}}$  — ცელის ხანგრძლივობის გამოყენების კოეფიციენტი, გოლი 0,75÷0,8.

**მაგალითი.** შეეასრულოთ მე-7 სამუშაო შემდეგი მონაცემების მიხედვით: სატრაქტორო მატარებლის მოძრაობის გრასის სქემა (იხ. ნახ. 2.5). გზა არის გრუნტის.  $l_1=400\text{მ}$ ;  $l_2=900\text{მ}$ ;  $l_3=400\text{მ}$ . შესაბამისად, გრასის უბნების ქანობებია  $i_1=0,09$ ;  $i_2=0,04$ ;  $i_3=0,05$ . ტრაქტორის მარკა — T-100M. ტრაქტორის წონა —  $G=11870$  ლქნ(კგ). მისაბმელის მარკა — D-179-A. დაუტვირთავი მისაბმელის წონა —  $G_{\text{მი-სა}}=5199$  ლქნ(კგ). მისაბმელის ძარის გვეჯობა —  $V=9\text{მ}^3$ . მისაბმელში გვირთის ჩატვირთვის დრო —  $t_{\text{დაგე}}=140\text{წ}$ ; მისაბმელის გვირთისაგან განტვირთვის დრო —  $t_{\text{განგ}}=50\text{წ}$ . გადასაბილი გვირთი — ხრეში ( $\gamma=1800$  კგ/მ<sup>3</sup>). ცელის საანგარიშო ხანგრძლივობა —  $T=8$ სთ. ცელის ხანგრძლივობის გამოყენების კოეფიციენტი —  $K_{\text{დრ}}=0,75$ . ა, ა<sub>გრ</sub> და ფ გზის სახის მიხედვით გრასის თითოეული უბნისათვის აღნიშნულია 2.5 ნახაზზე (იხ. ცხრ. 2.6).

**ამოხსნა:**

1. ვსაზღვრავთ ტრაქტორის შესაძლო წვეის ძალას თითოეული უბნისათვის:

$$F_{\text{ჩაჰ-1}} = G \cdot \varphi_1 = 11870 \cdot 0,7 = 8309 \text{ ლქნ(კგ);}$$



ნახ. 2.5 სატრაქტორო მაგარებლის მოძრაობის გრასის სქემა

$$F_{ჩაგ-2} = G \cdot q_2 = 11870 \cdot 1,0 = 11870 \text{ ლენ(კგდ);}$$

$$F_{ჩაგ-3} = G \cdot q_3 = 11870 \cdot 0,7 = 8309 \text{ ლენ(კგდ).}$$

2. ტრაქტორის მოძრაობისათვის უნდა შესრულდეს შემდეგი პირობა:

$$F_{კა,1} \leq F_{ჩაგ-1} - G \cdot a_{გრ-1} = 8309 - 11870 \cdot 0,1 = 7122 \text{ ლენ(კგდ);}$$

$$F_{კა,2} \leq F_{ჩაგ-2} - G \cdot a_{გრ-2} = 11870 - 11870 \cdot 0,06 = 11157 \text{ ლენ(კგდ);}$$

$$F_{კა,3} \leq F_{ჩაგ-3} - G \cdot a_{გრ-3} = 8309 - 11870 \cdot 0,1 = 7122 \text{ ლენ(კგდ).}$$

3. ტვირთის წონა მისაბმელში

$$Q = \frac{\gamma \cdot V \cdot g}{10} = \frac{1800 \cdot 9 \cdot 9,81}{10} = 15892 \text{ ლენ(კგდ).}$$

4. მისაბმელების დასაშვები რაოდენობა გრასის თითოეული უბნის მახასიათებლების მიხედვით:

$$n_1 = \frac{F_{კა,1} - G \cdot i_1}{(Q + G_{\text{მისაბ}})(a_1 + i_1)} = \frac{7122 - 11870 \cdot 0,09}{(15892 + 5199)(0,08 + 0,09)} = \frac{6053}{3585} = 1,69;$$

$$n_2 = \frac{F_{კა,2} - G \cdot i_2}{(Q + G_{\text{მისაბ}})(a_2 + i_2)} = \frac{11157 - 11870 \cdot 0,04}{(15892 + 5199)(0,03 + 0,04)} = \frac{10683}{1476} = 7,24;$$

$$n_3 = \frac{F_{კა,3} - G \cdot i_3}{(Q + G_{\text{მისაბ}})(a_3 + i_3)} = \frac{7122 - 11870 \cdot 0,05}{(15892 + 5199)(0,08 + 0,05)} = \frac{6528}{2741} = 2,38.$$

ვირჩევთ მისაბმელების მინიმალურ რაოდენობას, ე. ი.  $n=1$ .

5. ესაზღვრათ გრაქტორის კაკვზე წვეის ძალვის სიდიდეს და გრასის თი-  
 თოეულ უბანზე მისი მოძრაობის სიჩქარეს საგრაქტორო მაგარებლის მოძრა-  
 ბის პირობის მიხედვით:

$$F_{კაკ,1} \geq n(Q + G_{მისაბ})(\omega_1 + i_1) + G \cdot i_1 = 1(15892 + 5199)(0,08 + 0,09) + 11870 \cdot 0,09 = 3585 + 1068 = 4653 \text{ ლენ(კგდ);}$$

$$F_{კაკ,2} \geq n(Q + G_{მისაბ})(\omega_2 + i_2) + G \cdot i_2 = 1(15892 + 5199)(0,03 + 0,04) + 11870 \cdot 0,04 = 1476 + 475 = 1951 \text{ ლენ(კგდ);}$$

$$F_{კაკ,3} \geq n(Q + G_{მისაბ})(\omega_3 + i_3) + G \cdot i_3 = 1(15892 + 5199)(0,08 + 0,05) + 11870 \cdot 0,05 = 2742 + 594 = 3336 \text{ ლენ(კგდ).}$$

გრაქტორის კაკვზე წვეის ძალვის განსაზღვრული სიდიდეებისა და გრაქტო-  
 რის მარკის მიხედვით, 2.5 ცხრილიდან დაეაღვენტო, თუ რომელ გადაცემებზე  
 იმოძრაებს საგრაქტორო მაგარებელი და როგორი იქნება მისი გადაადგილე-  
 ბის შესაძლო მაქსიმალური სიჩქარე გრასის სამივე უბანზე.

პირველი უბნისათვის გვექნება: გადაცემა — II, სიჩქარე —  $v_1 = 3,78 \text{ კმ/სთ;}$

მეორე უბნისათვის — გადაცემა IV, სიჩქარე —  $6,45 \text{ კმ/სთ;}$

მესამე უბნისათვის — გადაცემა III, სიჩქარე —  $4,51 \text{ კმ/სთ.}$

6. გამოვითვალოთ მაგარებლის მოძრაობის ხანგრძლიეობა გრასის ცალ-  
 კეულ უბნებზე გვირთით და უგვირთოდ:

$$t_1^{გვ} = \frac{3,6 \cdot l_1}{0,8 \cdot v_1} = \frac{3,6 \cdot 400}{0,8 \cdot 3,78} = 476 \text{ წ;}$$

$$t_2^{გვ} = \frac{3,6 \cdot l_2}{0,8 \cdot v_2} = \frac{3,6 \cdot 900}{0,8 \cdot 6,45} = 628 \text{ წ;}$$

$$t_3^{გვ} = \frac{3,6 \cdot l_3}{0,8 \cdot v_3} = \frac{3,6 \cdot 400}{0,8 \cdot 4,51} = 399 \text{ წ;}$$

$$t_{\text{სარ}} = \frac{3,6(l_1 + l_2 + l_3)}{0,8 \cdot v_{IV}} = \frac{3,6(400 + 900 + 400)}{0,8 \cdot 6,45^*} = 1185 \text{ წ.}$$

7. განვსაზღვროთ საგრაქტორო მაგარებლის რეისის ხანგრძლიეობა

$$t_{\text{რეისის}} = t_1^{გვ} + t_2^{გვ} + t_3^{გვ} + t_{\text{სარ}} + n(t_{\text{ჩაგვ}} + t_{\text{განგ}}) = 476 + 628 + 399 + 1185 + 1(140 + 50) = 2878 \text{ წ} \approx 48 \text{ წთ.}$$

8. ესაზღვრათ საგრაქტორო მაგარებლის ცელურ საექსპლუატაციო მწარ-  
 მოებლურობას

$$\Pi_{\text{ცელ}} = \frac{3,6T \cdot K_{\text{ღრ}} \cdot Q \cdot n}{t_{\text{რეისის}} \cdot g} = \frac{3,6 \cdot 8 \cdot 0,75 \cdot 15892 \cdot 1}{2878 \cdot 9,81} = 12,16 \text{ ტ/ცელ,}$$

სადაც  $Q = 15892 \text{ ნ}$  გვირთის წონაა მისაბმულში.

\* დაუგვირთავი მაგარებლის მოძრაობის სიჩქარე  $v_{IV} = 6,45 \text{ კმ/სთ}$ , მიიღება 2.5 ცხრილი-  
 დან IV გადაცემის შესაგვეისი.

## უწყვეტი ტრანსპორტის მანქანები

უწყვეტი ტრანსპორტის მანქანები განკუთვნილია ფხვიერი, წერილნაკესი და ფხენილისებრი მასალების გადასაადგილებლად საწყობებში და ღია მოედნებზე მშენებლობაზე, მიწის სამუშაოებზე და კარიერებში, რომლებიც იძლევიან სატრანსპორტირებელი მასალის პორიბონტალური და დახრილი მიმართულებებით გადაადგილების საშუალებას.

უწყვეტი ტრანსპორტის მანქანებს მიეკუთვნება კონვეიერები, პნემატიკური სატრანსპორტო მოწყობილობები და თვითღინებითი დანადგარები.

კონვეიერებიდან მშენებლობაზე ძირითადად გავრცელებულია ლენტური ტრანსპორტიორები, ჩამოინი ელევატორები და სრასნული ტრანსპორტიორები. ლენტური კონვეიერები იყოფა გადასაადგილებელ და სტაციონარულ მანქანებად.

ГОСТ 2103-68-ის თანახმად გადასაადგილებელი ლენტური კონვეიერები 5,10 და 15მ სიგრძის მზადდება. მათ მოწყობილი აქვთ საეალი თელები გადაადგილების გასაიოლებლად. კონვეიერი შედგება შემდეგი ძირითადი კვანძებისაგან: ჩარჩო, ამძრავი და დამჭიმი სადგურები, ლენტი, ზედა და ქვედა გორგოლაჭის საყრდენი, ჩამგვირთავი ძაბრი, შასი, განგვირთვის სიმაღლის შესაყელი მექანიზმი და ელექტროამუშავების აპარატურა.

ГОСТ 10624-63-ის მიხედვით სტაციონარული კონვეიერების მონტაჟის (დემონტაჟის) შესასმუბუქებლად მათი ჩარჩო მზადდება გიპური ურთიერთმენაცვლებადი სექციებისაგან — სიგრძით 2,5მ. ამიგომ სშირად მათ უწოდებენ რგოლურ კონვეიერებს. სტაციონარული კონვეიერები შედგება იმავე კვანძებისაგან, როგორც გადასაადგილებელი კონვეიერები. ამძრავი სადგური განლაგებულია კონვეიერის ზედა ნაწილში და შედგება ელექტროძრავის, რელექტორისა და ამძრავი დოლისაგან. დამჭიმი სადგური ჩვეულებრივად განლაგებულია კონვეიერის ქვედა ნაწილში და შედგება დამჭიმი დოლისა და დამჭიმი მოწყობილობისაგან, რომელიც შესრულებულია ორი ჭანჭიკის სახით. ცოციებში დამაგრებული ქანჩები დოლს გადააადგილებენ მიმმართელებში.

კონვეიერის სამუშაო ორგანოა მოქნილი დარეზინებული ლენტი, რომელიც მოვლებულია ამძრავ და დამჭიმ დოლებზე. ლენტის ზედა შგო (სამუშაო) დაჭერილია ღარიანი გორგოლაჭიანი საყრდენებით, ქვედა (თავისუფალი) შგო — ბრტყელი საყრდენებით.

ყველა სამშენებლო კონვეიერში (გარდა TK-13-1) გამოყენებულია გლუვი ლენტი. TK-13-1 კონვეიერის ლენტას აქვს განივი წიბოები, რომლებიც საშუალებას იძლევა კონვეიერის დახრის კუთხე გაიზარდოს 20-დან 30°-მდე, ლენტაზე მასალის აუსრიალებლად, შესაბამისად 1,5-ჯერ გაიზარდოს განგვირთვის სიმაღლე ერთი და იგივე მწარმოებლურობის დროს.

ყველა ამძრავი ლილევი, დოლი და გორგოლაჭიანი საყრდენი დაყენებულია გორვის საკისრებზე.

მასალის ჩასატვირთავად გამოყენებულია ჩასატვირთი ძაბრი, რომელიც განლაგებულია დამჭიმი მოწყობილობის ჩვეით.

ლენგის გასაწმენდად მასზე მიწებებული მასალისაგან კონვეიერი მომარაგებულია ორი საფხეკით: ერთი გათვალისწინებულია ლენგის გარე ზედაპირის გასასუფთავებლად, მეორე — ლენგის შიდა ზედაპირის გასაწმენდად. პირველი საფხეკი განლაგებულია ამძრავი დოლის ქვეშ, მეორე — დამჭიმი დოლის ზევით.

მასალის განტვირთვა ხდება ამძრავი სადგურის დოლიდან. განტვირთვის სიმაღლე შეიძლება შეიცვალოს კონვეიერის ჩარჩოს შუალედი რგოლების შემცირებით (გაზრდით).

ჩამჩიანი ელევატორების საშუალებით შესაძლებელია მასალების ტრანსპორტირება 50მ-ის სიმაღლემდე. უსასრულო ჯაჭვზე, რომელიც დაყენებულია ორ ვარსკვლავზე (წამყვან და ამყოლ), ან უსასრულო ლენტზე, რომელიც დაყენებულია ორ დოლზე, დამატებულია სამუშაო ორგანოები — ჩამჩები. ელევატორები გვხვდება სწრაფმავალი (გამწევი ორგანოს სიჩქარით 1,25-2მ/წ) და ნელმავალი (სიჩქარით 0,4-1მ/წ). ამ ელევატორებზე გამოიყენება ჩამჩები ცილინდრული ძრითი და მახვილკუთხა ბორჯიანი მიმმართველებით.

ხრახნული კონვეიერი (შნეკი) წარმოადგენს ხრახნს, რომელიც მოთავსებულია გარსაცმში. ხრახნის ბრუნვის დროს მასალა გადაადგილდება მისი ღერძის გასწვრივ. კონვეიერი მუშაობს ხრახნის განსაზღვრული წრიული სიჩქარის დროს, რომელიც შეირჩევა მასალასა და ხრახნს შორის ხახუნის კოეფიციენტის მიხედვით. კონვეიერის მუშაობის ხარისხი დამოკიდებულია ღერძის შევსებაზე.

პნევმატიკური მოწყობილობები მშენებლობაზე ძირითადად გამოიყენება ცემენტის, თაბაშირისა და სხვა ფხენილისებრი მასალის ტრანსპორტირებისათვის მილსადენის სისტემით დიდი სიჩქარით მოძრავი პაერის მოქმედებით.

თვითღინებით დანადგარებში გვირთის გადაადგილება ხორციელდება ღარებში, მილებში ან გორგოლაჭებზე მხოლოდ საკუთარი წონის მოქმედებით.

### სამუშაო № 8

ლენტური კონვეიერის მოცემული მწარმოებლურობის მიხედვით შეარჩიეთ მისი ლენგი და განსაზღვრეთ ძრავის საჭირო სიმძლავრე (ნახ. 3.1).

მეთოდური მითითებები [3,5]


კონვეიერის ლენგის (ღარიანი) საჭირო სიგანეს ვსაზღვრავთ ფორმულით:

$$B = \sqrt{\frac{\Pi_j}{0,16 \cdot v \cdot \gamma(C+1)}} \text{ მ,}$$

სადაც  $\Pi_j$  არის კონვეიერის მწარმოებლურობა, ტ/სთ;

$v$  — ლენგის სიჩქარე, მ/წ;





ნახ. 3.1 ლენტური კონვეიერის სქემა

$\gamma$  — მასალის ნაყარი სიმკვრივე, კგ/მ<sup>3</sup>;

$C$  — კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მწარმოებელურობის შემცირებას კონვეიერის დახრილ მდგომარეობაში დაყენების დროს (ცხრილი 3.1).

გლუვი ლენტის შემთხვევაში

$$B = \sqrt{\frac{\Pi_j}{0,16 \cdot v \cdot \gamma \cdot C}} \text{ მ.}$$

კონვეიერის ლენტის  $B$  სიგანე მწარმოებელურობის გარდა, საჭიროა აგრეთვე შეესაბამებოდეს მასალის ნატეხობას.

რიგითი მასალის დროს

$$B \geq 2a_{\max} + 0,2 \text{ მ.}$$

დახარისხებული მასალის დროს

$$B \geq 3,3a_{\max} + 0,2 \text{ მ.}$$

ხოლო ცალობითი გვირთის შემთხვევაში

$$B \geq a_{\max} + 0,1 \text{ მ.}$$

სადაც  $a_{\max}$  არის ნატეხების ან ცალობითი გვირთის უდიდესი ზომა, მ.

შემდგომი ანგარიშისათვის ლენტის  $B$  სიგანის გამოთვლილი მნიშვნელობებიდან ვლბულობთ უდიდესს და ეამრგვალებთ მას უახლოეს მეტ მნიშვნელობამდე სტანდარტის მიხედვით (ცხრილი 3.2).

კონვეიერის მუშაობის დროს ძრავის სიმძლავრე იხარჯება მასალის გადაადგილებაზე და დაუტვირთავე შტოს წინააღმდეგობის დაძლევაზე.

სიმძლავრე ამძრავი დოლის ლილვზე

$$N_0 = (N_1 + N_2) \cdot K_{\text{სივ}} \text{ კვტ.}$$

სადაც  $N_1$  არის სიმძლავრე, რომელიც იხარჯება მასალის გადაადგილებაზე;

$N_2$  — სიმძლავრე, გათვალისწინებული ლენტის უქმი სელისათვის;

კოეფიციენტის დამოკიდებულება კონვეიერის დახრის კუთხეზე

კონვეიერის დახრის კუთხე, გრად	0-10	11-15	16-20	21-25
კოეფიციენტი $C$	1,0	0,95	0,9	0,85

შუასაღებების რაოდენობა ( $i$ ) დარეზინებული ლენგის სიგანისაგან ( $B$ , მ) დამოკიდებულებით

სიგანე $B$ , მ	0,3	0,4	0,5-0,6	0,65-0,7	0,8-0,9	1,0	1,2	1,4	1,6	1,8	2,0
შუასაღებების რაოდენობა, $i$	3-5	3-8	3-9	3-10	3-11	3-11	3-12	3-12	3-12	3-12	3-12

$K_{სიგ}$  — კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს კონვეიერის ( $L$ ) სიგრძის გაელენას (ცხრილი 3.3).

კონვეიერის სიგრძეს ვანგარიშობთ გამოსახულებით

$$L = \frac{H}{\sin \beta} + L_1 \text{ მ.}$$

კონვეიერის სიმძლავრე, რომელიც საჭიროა მასალის გადასაადგილებლად განისაზღვრება ფორმულით:

$$N_1 = \frac{\Pi_{კ} \cdot H}{367} + \frac{\Pi_{კ} \cdot L_{კ} \cdot \omega}{367} \text{ კვტ}$$

სადაც  $\frac{\Pi_{კ} \cdot H}{367}$  არის სიმძლავრე, რომელიც გათვალისწინებულია მასალის  $H$  სიმაღლეზე ასატანად მისი უწყვეტ ნაკადად გადაადგილების დროს მწარმოებლურობის  $\Pi_{კ}$  ტ/სთ სიდიდით;

$\frac{\Pi_{კ} \cdot L_{კ} \cdot \omega}{367}$  — მასალის პორიზონტალურად  $L_{კ}$  მანძილზე (კონვეიერის პორიზონტალური პროექცია, მ) გადასაადგილებლად საჭირო სიმძლავრე;

$\omega$  — ტვირთის მოძრაობის წინააღმდეგობის საერთო კოეფიციენტი; მიიღება  $\omega=0,035-0,04$  (გორგოლაჭსაყრდენებისათვის გორვის საკისრებზე).

კონვეიერის პორიზონტალური პროექცია განისაზღვრება ფორმულით:

$$L_{კ} = L_1 + \frac{H}{\text{tg } \beta},$$

სადაც  $L_1$  არის ლენგური კონვეიერის სქემაზე პორიზონტალური უბნის სიგრძე, მ-ში;

კონვეიერის სიგრძის გასათვალისწინებელი კოეფიციენტები

კონვეიერის სიგრძე $L$ , მ	15 და ნაკლები	16-30	31-50	50-ზე მეტი
კოეფიციენტი $K_{სიგრ}$	1,25	1,15	1,05	1,0

$\beta$  — კონვეიერის დასრის კუთხე.

სიმძლავრე, რომელიც იხარჯება ლენტის უქმ სელაზე

$$N_2 = K_1 \cdot L_2 \cdot v \text{ კვტ}$$

სადაც  $K_1$  არის წინალობის კოეფიციენტი, დამოკიდებული ლენტის სიგანეზე (ცხრილი 3.4);

$v$  — ლენტის მოძრაობის სიჩქარე, მ/წ.

ძრავის საჭირო სიმძლავრე

$$N_{პრ} = \frac{N_0}{\eta} \text{ კვტ}$$

სადაც  $\eta=0,75 \div 0,8$  დოლის ამძრავის მქკაი.

წინალობის კოეფიციენტის მნიშვნელობები გორგოლაჭებისათვის (გორვის საკისრებზე), ლენტის სიგანისაგან დამოკიდებულებით

ლენტის სიგანე $B$ , მ	0,3-0,4	0,5	0,6	0,8	1,0	1,2	1,4
კოეფიციენტი, $K_1$	0,012	0,015	0,02	0,024	0,03	0,035	0,04

წვეის ძალეა ამძრავ დოლზე გამოითვლება ფორმულით:

$$P_{\text{წ}} = \frac{102 \cdot N_{\text{პრ}}}{v} \text{ დენ(კვტ)}$$

ლენტის მაქსიმალური დაჭიმულობა ეილერის ფორმულიდან გამომდინარე განისაზღვრება დამოკიდებულებით:

$$S_{\text{max}} = P_{\text{წ}} \cdot \frac{e^{\mu\alpha}}{e^{\mu\alpha} - 1} \text{ დენ(კვტ)},$$

სადაც  $e$  არის ნატურალური ლოგარითმის ფუძე;

$\alpha$  — ამძრავ დოლზე ლენტის შემოხვევის კუთხე;

$\mu$  — ხახუნის კოეფიციენტი დოლის ზედაპირსა და ლენტს შორის.

$\mu$  და  $e^{\mu\alpha}$  მნიშვნელობები შეირჩევა 3.5 ცხრილიდან.

ლენტის დაჭიმულობა საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ დატვირთული შტოს ჩაკიდულობის ისრის სიდილე აკმაყოფილებდეს პირობას

$$f \leq 0,025l,$$

სადაც  $l$  არის მანძილი მეზობელ საყრდენ გორგოლაჭებს შორის ( $l=1, 1 \div 1,5$  მ

— შეირჩევა სატრანსპორტირებელი მასალის ნაყარი სიმკვრივისა

ლენგის დოლის ზედაპირზე ხახუნის  $\mu$  კოეფიციენტისა და  $e^{\mu\alpha}$  მნიშვნელობები

დოლის სახე და აგმოსფერული პირობები	$\mu$	შემოხვევის $\alpha$ კუთხისათვის, გრად და რად			
		$\frac{180^\circ}{3,14}$	$\frac{210}{3,66}$	$\frac{240}{4,19}$	$\frac{300}{5,24}$
თუჯის ან ფოლადის დოლი; აგმოსფერო ძალიან ტენიანი (სველი)	0,1	1,37	1,44	1,52	1,69
დოლი ხის ან რეზინის შემოსვით; აგმოსფერო ძალიან ტენიანი (სველი)	0,15	1,60	1,73	1,87	2,19
თუჯის ან ფოლადის დოლი; აგმოსფერო ტენიანი	0,20	1,87	2,08	2,31	2,85
თუჯის ან ფოლადის დოლი; აგმოსფერო მშრალი	0,30	2,56	3,00	3,51	4,81
დოლი ხის შემოსვით; აგმოსფერო მშრალი	0,35	3,00	3,61	4,33	6,25
დოლი რეზინის შემოსვით; აგმოსფერო მშრალი	0,4	3,51	4,33	5,34	8,12

( $\gamma$ ) და ლენგის სიგანისაგან ( $B$ ) დამოკიდებულებით. რაც მეტია  $\gamma$  და  $B$  მით უფრო მცირეა  $I$ ).

შუასადებების რაოდენობა ლენგში გამოითვლება ფორმულით

$$i = \frac{S_{max}}{B \cdot P}$$

სადაც  $B$  არის ლენგის სიგანე, მ;

$P$  — დასაშვები დატვირთვა ერთი შუასადების სიგანის ერთ მეტრზე, ღკმ/მ (კგმ/მ).

ჩვეულებრივი ბამბის შუასადებებისათვის დასაშვები დატვირთვა  $P=550$  ღკმ/მ (კგმ/მ).

შუასადებების გამოთვლილი რაოდენობა უნდა იმყოფებოდეს 3.2 ცხრილში ლენგის სიგანისათვის მოცემულ საზღვრებში.

ამპრაფი და დამჭიმი დოლების ზომები განისაზღვრება ფორმულებით:

ამპრაფი დოლის დიამეტრი

$$D_{ამპ} = (120 \div 150) i \text{ მმ};$$

დოლის სიგრძე

$$L_{დ} = B + 100 \text{ მმ},$$

\* მრიცხველში —  $\alpha$  მნიშვნელობები მოცემულია გრადუსებში, მნიშვნელში — რადიანებში.

სადაც  $i$  არის შუასადებების რაოდენობა ლენტში;

$B$  — ლენტის სიგანე, მმ.

დამჭიმი დოლის დიამეტრი

$$D_{\text{დამჭ}} = 100 \cdot i \text{ მმ.}$$

მწყობრიდან გამოსული ლენტის შესაცუელელად საჭირო ლენტის სიგრძე გამოითვლება ფორმულით:

$$L_{\text{ლ}} \approx 2L + \frac{\pi}{2} (D_{\text{ამჭ}} + D_{\text{დამჭ}}) + 4 \text{ მ,}$$

სადაც  $4\text{მ}$  ითვალისწინებს ლენტის დამატებით სიგრძეს შეპირაპირებისათვის, დოლური ჩამომყრელისათვის და ევრტიკალური დამჭიმავე მოწყობილობისათვის;

$D_{\text{ამჭ}}$ ,  $D_{\text{დამჭ}}$  — ამძრავი და დამჭიმი დოლების დიამეტრებია მ-ში.

**მაგალითი.** შევასრულოთ მე-8 სამუშაო შემდეგი მონაცემების მიხედვით: ლენტური კონვეიერის სქემა (ნახ. 3.1). კონვეიერის მწარმოებლურობა  $\Pi_{\text{კ}}=200\text{ც/სთ}$ , კონვეიერის პორიზონტალური უბნის სიგრძე  $L_1=50\text{მ}$ , კონვეიერის დახრის კუთხე  $\beta=18^\circ$ ; მასალის ატანის სიმაღლე  $H=14\text{მ}$ , გადასაადგილებელი მასალა — ხრეში; ნაყარი სიმკვრივე  $\gamma=1900\text{კგ/მ}^3$ , ნატეხების მაქსიმალური ზომა  $\alpha_{\text{max}}=70\text{მმ}$ ; ლენტის ამძრავ დოლზე შემოხვევის კუთხე  $\alpha=180^\circ$ . ლენტის მოძრაობის სიჩქარე  $v=1,6\text{მ/წ}$ ; ლენტის სახე — ლარიანი. დოლის ამოგება — ხის; ატმოსფერო, რომელშიც მუშაობს კონვეიერი — ძალიან ტენიანი.

**ამოხსნა:**

1. ვსაზღვრავთ კონვეიერის ლენტის საჭირო სიგანეს

$$B = \sqrt{\frac{\Pi_{\text{კ}}}{0,16v \cdot \gamma(C+1)}} = \sqrt{\frac{200}{0,16 \cdot 1,6 \cdot 1900(0,9+1)}} = 0,47 \text{ მ.}$$

კონვეიერის ლენტის სიგანე მასალის ნატეხობის პირობის გათვალისწინებით

$$B \geq 3,3a_{\text{max}} + 0,2\text{მ} = 3,3 \cdot 0,07 + 0,2 = 0,231 + 0,2 = 0,431\text{მ}.$$

კონვეიერის ლენტის სიგანის მაქსიმალური მნიშვნელობის ( $B=0,47\text{მ}$ ) მიხედვით 3.2 ცხრილიდან შევარჩევთ ლენტის სიგანის უახლოეს სტანდარტულ მნიშვნელობას მეტობით  $B=0,5\text{მ}$ .

2. ვანგარიშობთ ძრავის სიმძლავრეს.

სიმძლავრე ამძრავი დოლის ლილვზე

$$N_0 = \left[ \left( \frac{\Pi_{\text{კ}} \cdot H}{367} + \frac{\Pi_{\text{კ}} \cdot L_3 \cdot \omega}{367} \right) + K_1 \cdot L_3 \cdot v \right] K_{\text{სიგ}},$$

სადაც

$$\Pi_{\text{კ}}=200\text{ც/სთ};$$

$$H=14\text{მ};$$

$$L_2 = L_1 + \frac{H}{\operatorname{tg} \beta} = 50 + \frac{14}{\operatorname{tg} 18^\circ} = 50 + \frac{14}{0,325} = 50 + 43 = 93 \text{ მ};$$

$$\omega = 0,035;$$

$K_1 = 0,015$  (მიიღება 3.4 ცხრილიდან ლენტის სიგანის მიხედვით);

$$L = \frac{H}{\sin \beta} + L_1 = \frac{14}{\sin 18^\circ} + 50 = \frac{14}{0,309} + 50 = 45,3 + 50 = 95,3 \text{ მ};$$

$K_{\text{სიგრ}} = 1,0$  (მიიღება 3.3 ცხრილიდან კონვეიერის სიგრძის ( $L$ ) მიხედვით).

